საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 19 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ჯდება 15 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 264 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 264

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79.

20 ნოემბერს დილით შაბათს საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

ფარსადან ზურაბის ძე ნემსაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ ქვრივი ნინო, ქალი ახვლედიანისა, ვაჟი ივანე, სიძე ევტიხი ახვლედიანი და შვილიშვილი ლეო ახვლედიანი. (3705—2—2)

მაქსიმე ონისიმეს ძე და მეუღლე თინათინი შვილებით თამარით და შალვა ლაღიძეები ღრმათ დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ ძმის შვილის უდროოთ გარდაცვალებას ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ

თებრო დიომიდეს ასული ლაღიძია ფირიაშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ბინაზე ოლღას ქ. № 59 ვერის გასავლელით, დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3720—1—1)

გულ ჩათუთქულნი: მეუღლე გრიგოლი, დედამთილ-მამამთილი პელაგია და ალექსი, რძალი და მაზლი მარიამი და ნიკოლოზი ფირიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ პირველის დაუვიწყარი ცოლის და მეორეთა ძვირფასი რძლის

თებრო დიომიდეს ასული ლაღიძია ფირიაშვილისას

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ბინაზე ოლღას ქუჩა № 59 ვერის გასავლელით, დასაფლავების დღე იქნება გამოცხადებული ცალკე. (3720—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ოლღა, მამა მიხეილ, და ძმები და ნათესავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას, 21 ნოემბერს დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას

ვახტო ქემოკლიძის

სულის მოსახსენებლათ. ქ. ბათომში. (3709—1—1)

განუზომელი მწუხარებით გულმოკლული დედა ლიდა თომას ასული კუკულავა აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგ ნაცნობებს, რომ 20 ნოემბერს 1920 წ. ახალშენის (გურია) წმინდა გიორგის ეკლესიაში იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მისთვის საყვარელი და მუდამ მოსაგონარის ახალგაზრდა ქალის

ალექსანდრა (ტატუშა) ფარნაოზის ასულის კუკულავას

სულის მოსახსენებლათ. (3712—1—1)

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ამა თვის 17 უდროოთ გარდაიცვალა დაუვიწყარი მეგობარი

გიორგი (გოგი) დავითაშვილი.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე (ანდრეევის ქუჩა № 22) გამოსვენება შაბათს, დილის 9 ნ. ხ. საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3723—1—1)

მშობლები: კესარიონ და ტერეზა, ძმები: დავით და პართენ, რძალი ლიზა, ძმის შვილები: თამარ, გიორგი და ქსენია ცინცაძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ სახელმწიფო კონტროლის რევიზორი

გერონტი ცინცაძის

გარდაცვალების ორმოცის პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაში, შაბათს, ნოემბრის ოცს, (ახალი სტილით) განსვენებულის საფლავზე. (3719—1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრე იაკობის ძე ჭყონია შვილებით მადონა და მელიტონ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 21 ნოემბერს დილის ათ საათზე გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი, მათი დაუვიწყარი და უდროოთ დაკარგულის

ევგენია სპირიდონ ჯაფარიძის ასულისა ჭყონიასი

სოფელ ჩიბათში წმინდა გიორგის ეკლესიაში. (3722—1—1)

ზურაბ დავითის ძე მგალობლიშვილი

ხანგრძლივი და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ 16 ამა ნოემბერს გარდაიცვალა ქალაქ ბათომში, რასაც აუწყებს ყველა ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს ღრმად დამწუხრებული და გულდამწვარნი შვილები დათიკო და გაბრიელ (გაბო) ცოლით ფელიციტა. გამოსვენება საკუთარ ბინიდან თფილისის ქ. სახლი № 60. (3726—1—1)

ოც გიორგობისთვეს (ახ. დროზე) დილის ათ საათზე (ძველით) წმ. მარინეს ეკლესიაში, ავლაბარში, იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი უკვალოთ დაკარგულის

ალექსი დიმიტრის ძე ნასიძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავს და ნაცნობს მეუღლე ოლა სოლომონის ასული და ბიძაშვილები. (3724—1—1)

ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს

დელეგაცია

და დაბინავდა ჩრდილოეთის ნომრებში ოთახი № 35. დელეგაციის თავმჯდომარე ღებულობს ყოველ კვირას გარდა 12 საათ. 2 საათამდე. (3684—7—4)

იბეჭდება და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა
კარლ კაუცკის ახალი წიგნი
სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები
საქართველოში
თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან
გამოცემა ს. ს. დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

მომარაგების სამინისტროსგან

მომარაგების სამინისტრო ამით აცხადებს, რომ ქუთაისის გუბერნიაში, სოხუმისა და ბათომის ოლქებში სიმინდის და სხვა ხორბლეულობის ყიდვა გაყიდვა და გადატან-გადმოტანა სრულიად თავისუფალია. თავისუფალია აგრეთვე აღნიშნულ ადგილებიდან სიმინდისა და სხვა ხორბლეულობის გატანა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და სოფლებში. ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

(ნ. 3—2) მომარაგების მინისტრის ამხანაგი ჰ. ვ. ნიძე.

კვირას, 21 გიორგობისთვეს, გორში, სამაზრო კომიტეტის ბიუროს ბინაზე, დილის 10 საათიდან დანიშნულია საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტიის გორის მაზრის კომიტეტის წევრთა

მორიგი კრება

გადასაწყვეტია ფრიად სერიოზული საკითხები, ამიტომ ყოველ მიზეზების გარეშე ვალდებულია სამაზრო კომიტეტის კრებას დაესწროს ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელი.

(უ. 3—2) კომიტეტის ბიურო.

სოხუმის საცდელი სადგური

აცხადებს

კონკურსს

სადგურის გამგის თანამდებობის დასაჭერად. სადგური შესდგება: საბაღო-სააკლიმატიზაციო, მებაღეობის, მებოსტნეობის სამკურნალო მცენარეთა განყოფილებათაგან და ქიმიურ-ფარმაცევტიულ ქარხნისაგან; მიკოლოგიურ ენტომოლოგიურ კაბინეტებისაგან და ქიმიურ ლაბორატორიისაგან. საჭიროა უმაღლეს აგრონომიულ განათლებით, შესაფერის მეცნიერულ მომზადებით და ადმინისტრატიულ გამოცდილებით აღჭურვილი პირი. თვიური ჯამაგირი 8 000 მანეთი სახაზინო ბინითა და გათბობა განათებით. თხოვნები და cuuriculum vitae უნდა გადმოეგზავნოს შემდეგი მისამართით: სოხუმი, ბოტანიკური ბაღი, საცდელ სადგურის დროებით გამგეს. კონკურსი დამთავრდება 15 დეკემბერს. (3690—3—3)

რუსთაველის პროსპექტზე ნომერ 6-ში გაიხსნა
ევროპიულ-ქართული ტეხნიკური, სავაჭრო და სამრეწველო კანტორა
„ევრ-ივერია“
კანტორის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს აღმშენებლობის და მრეწველობის განვითარებას საქართველოში. კანტორას დამოკიდებულება აქვს გერმანიასთან და სულ მოკლე ხანში შეუძლიან მოწყობა წისქვილების, სადგურების, ქარხნების და ყოველივე სამრეწველო წარმოების. კანტორამ უკვე მიიღო გერმანიიდან სამეურნეო და სხვა იარაღები. (3721—3—1)

საქართველოს ცენტრალური

კოოპერატიული კავშირი

(ტფილისში, კოოპერაციის ქუჩა, საკ. სახლი № 15).

ამით აცხადებს საზოგადო ორგანიზაციათა საყურადღებოთ, რომ ის შეუდგა მათ შორის მატყლის განაწილებას. საჭიროა დაკვეთასთან ერთად წარმოდგენილ იქნას დაკვეთილი მატყლის მთელი ღირებულება.

(ნ. 2—1) გამგეობა.

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)
ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.
შაბათს, ნოემბრის 20-ს
და
ხუთშაბათს, ნოემბრის 25-ს
უგვირგვინო მეფენი
ალ. შანშიაშვილისა.
ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვარის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.
ბილეთები კასაში.
კვირას, ნოემბრის 21-ს
მსხვერპლი
ი. გედევანიშვილისა.
ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.
რეჟისორი ალ. წუწუნავა.
ბილეთები გაყიდულია.
დასაწყისი საღ. 8 ს.
(ნ. 1—1)

თფილისის საარტილერიო საწყობის სამმართველოში
(არსენალის მთა).
საჭიროა საწერ მანქანაზე
კარგი მომუშავე
შრომის ხელფასის დღიურ გასტუმრებით. ანგარიში მიეცემა ყოველ შაბათობით. მსურველთათვის დანიშნულია კონკურსი 25 ნოემბერს დილის 12 საათზე. თხოვნები მიიღება ნოემბრის 25-მდე.

ჩვენს გარშემო

ქემალის ლაშქარი სომხეთს შემოადგა. დიდი ნაწილი ჩვენი მეზობელი რესპუბლიკისა, განადგურებულია. ევროპა კი სდუმს ამ საშინელი ტრაგედიის წინაშე, ევროპის დიდი სახელმწიფოები, რომელთაც სევრში სომხეთს დიდი უფლებები და ტერიტორიები მიანიჭეს, მსოფლიო ომის დროს მისი დამსახურების სანაზღაუროთ, დღეს გულგრილად შესცქერიან ამ ხელშეკრულების განაცამტვერებას ოსმალთა ჯარების მიერ.

რომ სომხეთს ამ ჟამათ არ შეეძლო თავის დაცვა ყოველ-მხრივ მოსეულ მტრისგან იმ საშინელი დანაკლისის გამო, რომელიც მას წინანდელმა ომმა მიაყენა, ეს ყველასთვის აშკარა უნდა ყოფილიყო. ამიტომ ეძებდენ მანდატორს, ე. ი. მფარველს სომხეთისთვის. მაგრამ ეს მფარველი არ გამოჩნდა. ოსმალური თავაზიანობით იწვევდენ ერთმანეთს დიდი სახელმწიფოები, სომხეთის ზედამხედველობას და ოსმალური თავაზიანობითვე თვითეული მათგანი უარს ყოფდა შეთავაზებულს.

ბოლოს სომხეთი დარჩა გარიყული მათგან, ვისაც მორალურათ მაინც ვალათ ედვა მისი მფარველობა.

დღეს სომხის ხალხი საშინელ ტრაგედიას განიცდის, ხოლო ზოგიერთი ცნობებით, რომელიც ევროპის გაზეთებშია მოთავსებული, ზოგიერთი სახელმწიფოები ამ ტრაგედიით ვაჭრობენ და ახალ-ახალ კომბინაციებს აწყობენ.

მართლაც, ევროპას დღეს სომხეთი ისე არ აინტერესებს, როგორც რუსეთი. კომუნიზმის გამანადგურებელი ხელი, აჯანყების და არეულობის პერსპექტივა, რომელსაც უქადის მათ რუსეთის საბჭოთა მართველობა, ყველაზე წინ იპყრობს ევროპის დიდ მესვეურთა სერიოზულ ყურადღებას.

და ვინ იცის, რა თამაში აქვს ამ ნიადაგზე ადგილი!

ჩვენ არ მიგვაჩნია შეუძლებლათ თვით ქემალის ძალთა გამოყენება ბოლშევიკების წინააღმდეგ. ევროპის ბურჟუაზიამ დღემდე შესძლო დასავლეთის საზღვრებზე პოლონეთის და ბალტიის მხრის რესპუბლიკების ხელით შეეჩერებია ბოლშევიკების წითელი არმიის მსვლელობა.

თვით ტროცკი იძულებულია აღიაროს, რომ იგი იქ დამარცხდა.

ახლა საბჭოთა რუსეთის წინაშე ერთად ერთი ფრონტი რჩება—ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, რომელთა ამხედრება ევროპის წინააღმდეგ მეტად მტკივან ადგილს განუახლებდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს.

და ჩვენ არ გვგონია, რომ იმპერიალისტური დიპლომატია არ შეეცადოს აქაც სხვისი ხელით მოუჭრას გზა რუსეთის ბოლშევიზმს და იგი ამით თავის ქურქში ჩასვას, საკუთარ ქვეყნის ფარგლებში შეამწყვდიოს და შიგ ამოახრჩოს.

ქემალის ახალი გალაშქრებაც, რომელიც ბოლშევიკების ლოცვა-კურთხევით დაიწყო, შეიძლება მათივე თავსატეხი და სალიკვიდაციო შეიქნეს. და კიდევ ვინ უწყის, რა სიურპრიზებს ექნება ადგილი ამ ბრძოლაში.

რუსეთის და ევროპის დიპლომატია აქ ერთხელ კიდევ ხვდებიან ურთიერთს და რომელს ერგება მათში გამარჯვების დაფნის გვირგვინი—ეს მომავლის საკითხია.

პატარა საქართველო ამ ქაოსში მეტად ფრთხილათ და თავდაჭერილათ უნდა იყოს. ჩვენ არ შეგვიძლია, მართალია, დიდი როლის თამაში ამ ძალთა კონფლიკტში, მაგრამ ორივე მხარე იძულებული იქნება ჩვენს მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს.

ერთი გარემოება აძლიერებს ჩვენს პოზიციას ამ შემთხვევაში. ეს გახლავთ ის, რომ ჩვენ არ გვაქვს არავითარი დაპყრობითი და აგრესიული მიზნები მისაღწევი, და არც ვართ ამიტომ იძულებული რომელიმე ძალას მივუდგეთ და მის ხელში დამხმარე იარაღათ ვიქცეთ.

ვერც რუსეთს მივცემთ ჩვენს თავს სათამაშოდ, ვერც ანტანტას, ვერც მით უმეტეს ქემალ ფაშას. გეოგრაფიული ჩვენი საზღვრები აშკარად და მკაფიოდ განსაზღვრულია, იგი არც ქემალს, არც რუსეთს, მით უმეტეს ანტანტას არაფერს ემუქრება. ჩვენი საზღვრები—ჩვენი თავდაცვის ხაზია, ჩვენი ხელშეკრულობის გარანტია, და ამ გარანტიას ჩვენ ყველასაგან ერთნაირად მოვითხოვთ.

ამ გარანტიის მისაღწევად ჩვენს ენერგიის დახარჯვას არ დავიშურებთ. იმას იქით არავისთან დავა არ გვსურს.

ამ რიგად ჩვენი პოზიცია გარკვეული და ნათელია. თავდამსხმელს არ მოვუთმენთ. ჩვენი მიზეზით კი არავის იარაღს არ ამოვაღებინებთ ქარქაშიდან.

საქართველოს დემოკრატია მხოლოდ იცავს თავის საზღვრებს და თავის რესპუბლიკის ყოველმხრივ დამოუკიდებლობას.

ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა

ინგლისის მთავრობამ უარი განაცხადა ერთი იმ უფლებათაგანზედ, რომელსაც აკუთვნებდა მას ვერსალის ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუ გერმანია არ შეასრულებდა იმ ვალდებულებებს, რომელიც მას თავზედ მოახვიეს გამარჯვებულმა მოკავშირეებმა, მოკავშირეთა სახელმწიფოებს უნდა მიემართათ რეპრესიებისთვის და ერთი საშუალებათაგანი იყო გერმანიის მოქალაქეების ქონების სეკვესტრაცია მოკავშირეთა ქვეყნებში. ამის შიშით გერმანიის ბანკირ-მრეწველები გაურბოდენ თავიანთი ქონების გატანას გამარჯვებულთა ქვეყნებში და ამით ფერხდებოდა ის ეკონომიური ურთიერთობის დამყარება, რომელიც ომის შემდეგ უნდა ჩამდგარიყო ნორმალურ კალაპოტში. ინგლისის მთავრობამ უარი განაცხადა ამ უფლებაზედ. ამნაირად, თუ გერმანიამ არ შეასრულა ან ვერ შეასრულა ვერსალის ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები, ინგლისი უარს ამბობს იხმაროს ძალდატანების ერთი საშუალებათაგანი. ლონდონის ასეთმა დადგენილებამ დიდი პროტესტი გამოიწვია პარიზის მხრივ. საფრანგეთის მთავრობა შეეკითხა ლონდონს, თუ რას ნიშნავს ეს? ინგლისის საგარეო მინისტრმა კერზონმა უპასუხა, რომ ეს მოიმოქმედა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ, საგარეო მინისტრმა ეს არც იცოდა, თუმცა ამის უფლება ჰქონდა ინგლისს, რადგანაც უფლებებზედ უარის თქმა მისი ნებაა. საფრანგეთის მთავრობის ოფიციოზი „ტანი“ (30 ოქტომბერი) არ არის კმაყოფილი ასეთი განცხადებით. ლონდონის ნაბიჯი მას მიაჩნია სოლიდარობის პრინციპის დარღვევად, რომელიც გულისხმობს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვას. ასეთი ქცევა, მისი აზრით, გაათამამებს გერმანიას. უნდა ითქვას, რომ „ტანის“ აზრი სავსებით მართალია. მხოლოდ საფრანგეთის ბურჟუაზია ვერ მიხვდარა, რომ ვერსალის ხელშეკრულების გატარება ცხოვრებაში შეუძლებელია. ის დაბრმავებულია გერმანიისადმი სიძულვილით. ინგლისი ამ მხრივ უფრო თავისუფლად მოქმედებს. როგორც გაზეთებიდან სჩანს, მას მხარს უჭერს იტალია. ამნაირად იწყება ვერსალის ხელშეკრულების ნაწილობრივი გადასინჯვა. ეს იყო ისტორიული აუცილებლობა და მას მხარს უჭერდა მთელი ევროპის მოწინავე დემოკრატია.

ბ. თეკლათელი.

პრესა

გაზ. „მშაკი“ 139 №-ში სწერს:

„საქართველოს დამფუძნებელი კრება თავის მოწოდებაში ატყობინებს ქართველ ხალხს, რომ ქემალისტები მოადგნენ საქართველოს საზღვრებს და ქართველი ხალხი მზად უნდა იყოს ყველა საშუალებებით შეებრძოლოს მტერს და ამით თავიდან აიცილოს ის საშინელი საფრთხე, რომელიც მას მოელის ბარბაროს ურდოებისაგან.

„რომ საქართველოს უმაღლეს დაწესებულებას სწორად გაუგია მოვლენათა შესაძლებელი სვლა,—ეს ეჭვს გარეშეა. სომხეთი და საქართველო ერთ ბედში ყოფილან საუკუნოთა განმავლობაში თვით იმ მიზეზითაც, რომ ეს ორი ერი ეკუთვნოდა საერთო კულტურულ ოჯახს—ევროპიულ ქრისტიანულს. ამ კულტურულ სახის შესანახათ სომხეთი და საქართველო ძველთაგანვე იძულებული იყვნენ ებრძოლათ მუდამ არათანასწორ პირობებში, რითაც ერთნაირ მარტიროლოგის ხასიათი მიეცა მათ ისტორიას და ერთ ბედში ყოფნა შედეგია იმ გეოგრაფიული მდგომარეობისა, რომელიც რგებია ამ ორ ერს. ეს გეოგრაფიული ადგილი არის ევროპიული კულტურის და აზიურ ბარბაროსობის საზღვარი. და ეს ერთ ბედში ყოფნა დღესაც მეორდება, ისტორია გრძელდება.

„და როცა ეს ესეა, უნდა გვგონებოდა, რომ ამ ორ ხალხს, რომელსაც ერთად უცხოვრიათ საუკუნოები და უნახავთ ავი და კარგი, უნდა ყოფილიყვნენ ერთად ამ ჟამადაც, როგორც ბუნებრივი მოკავშირენი თავიანთი არსებობის საუკეთესოდ დასაცავად.

„მაგრამ ეს არ მოხდა, ამ ორი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის არ არსებობს კავშირი, რაც ხელსაყრელი იყო ორივე საერთო მტრებისათვის. საქართველომ მიიღო იმისთანა პოლიტიკური სახე, რომ ერთ დროს ინგლისი ამაყობდა და ეძახდა „მშვენიერი განმარტოვებულ ქვეყანას“.

„მართალია, ამ მდგომარეობამ ბევრი სიკეთე მოუტანა საქართველოს, მაგრამ იმავე დროს ამისთანა მდგომარეობა ახალისებდა საერთო—მტრებს, რომლებიც ცდილობდენ ყოველივე ზომები მიეღოთ, რომ სომხეთი და საქართველო არ შეერთებულიყვნენ და საერთო ძალებით დაეცვათ თავიანთი ქვეყნები. ცნობილია სტრატეგიული ანბანი—დაამარცხე მტერი ცალ-ცალკე...

საერთო მტერი, აქებს საქართველოს განცალკევებას, მანამ არსებობს სომხეთი, მაგრამ სომხეთი მოისპობა თუ არა, მტერი იმ წუთსვე მოიბრუნებს პირს საქართველოსკენ მის ჩასაყლაპავათაც. მიზეზი სავსებით ცხადია. საქართველო აზიური კულტურის ქვეყანა არ არის, მაშასადამე, იგი ფეხზე ვერ დადგება, ვერ იცოცხლებს იმ დროს, როცა აზიური ბარბაროსობა გაიმარჯვებს. მარტო სომხეთი არ არის გზათ თურანის ტომების შეერთებისთვის. საქართველოც გზად ითვლება იმავე მიზნის მისაღწე-

დღეს

ლოიდ ჯორჯის განცხადებით ინგლისის მთავრობა სავაჭრო დამოკიდებულებას აღადგენს საბჭოთა რუსეთთან, როცა ბოლშევიკები შესწყვეტენ ბრიტანეთის საწინააღმდეგო აგიტაციას.

ლიონის ცნობით სტამბოლში მივიდა გენერალი ვრანგელი და 40.000 ლტოლვილი.

საბერძნეთის ახალი კაბინეტის შედგენა თარალისმა იკისრა. ვენიზელოსი საბერძნეთს სტოვებს.

გერმანიის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით ზემო სილეზიას ავტონომია მიეცა.

ვად. შეიძლება კამათი მხოლოდ იმის შესახებ რომელი გზა სჯობია—ბაქო—ბათომი, თუ ერზერუმი—სარყამიში—აქსტაფა. მაგრამ ორივენიც გამოსადეგნი არიან.

ყველა ეს ძალიან კარგათ ესმის ქართველ ხალხს. და ძალიანაც კარგია, რომ ეს ასეა დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაში. სახელმწიფოს აქვს ყველა საშუალება მოკრიბოს თავისი ძალები და მოაწყოს თავდაცვის საქმე. მუსტაფა ჯერ არ გასწორებია სომხეთს და ჯერ დელეგატებს გზავნის თფილისში დიპლომატიურ მოსალაპარაკებლათ, მაგრამ ამ საშუალებით ვერ მოატყუილებს საქართველოს. დიპლომატიას არ შეუძლიან თვალები აუხვიოს საქართველოს მესვეურთ, დიპლომატია ვერ მოიპოვებს ნდობას ქართველ ხალხში.

„დიახ, სომხეთი მაგალითის მაჩვენებელი იყოს საქართველოსთვის. სევრის ხელშეკრულება და ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა—აი, რა არის დიპლომატია. უნდა დავეყრდნოთ ჩვენ საკუთარ ძალებს, და ჩვენ არ ვეჭვობთ ამ მხრივ, რომ საქართველო უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე სომხეთი. იმ დროს, როცა დამოუკიდებელი სომხეთი იტანჯებოდა ჯოჯოხეთურ პირობებში, საქართველო ატარებდა შედარებით მშვიდობიან დღეებს და შეეძლო მოეკრიბა თავისი ეროვნული ძალები და მახვილისთვის მახვილითვე გაეცა პასუხი.

საქართველო ისე უქომაგო არ არის, როგორც სომხეთი. საქართველოს უფრო ადვილათ შეუძლია უკუაგდოს ხიფათი, ვიდრე სომხეთს.

და ვინც ჰხედავს სომხეთის ახლანდელ მდგომარეობას, მას მხოლოდ შეუძლია გამარჯვება უსურვოს საქართველოს აზიურ ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებაში.

ქართველი მუსულმანები და მისი დემოკრატია

V

გარეშე მიზეზების შესახებ, რაც ხელს უშლიდა სამაჰმადიანო საქართველოს დედა საქართველოსთან შეერთებას, ბევრი ლაპარაკი შეიძლება. მაგრამ ეს ისტორიის საქმეა და ისეთი ისტორიის, რომელიც ჯერ კიდევ ყველას თვალ წინ აქვს; ამიტომ ჩვენ იმდენათ შევეხებით ამ მიზეზებს, რამდენათაც ისინი თავს იჩენდენ სამაჰმადიანო საქართველოს ცხოვრებაში და კერძოთ აბრკოლებდენ მის დედა სამშობლოსთან შეერთების საქმეს და აჭიანურებდენ მას. როდესაც ოსმალეთმა დასავლეთ-სამხრეთ კავკასიის ევაკუაცია მოახდინა,—ამ გარეშე პირობების გავლენით სამაჰმადიანო საქართველოში სამი საბჭო დაარსდა: ყარსის, ართვინისა და ბათუმისა და მისი ოლქის მუსულმანების საბჭო („სედაი—მილლეთი"). ყარსის საბჭო ოსმალეთის „ითთიხად"-ისა და ადერბეიჯანის მუსავატელების გავლენით შეიქმნა და მათი დახმარებით არსებობდა. ამ საბჭოს მიზანი იყო ბათუმ-ყარს-არდაგანის ოლქებიდან ერთ „დასავლეთ-სამხრეთ კავკასიის ისლამურ რესპუბლიკის" შექმნა. ამ საბჭომ, რომელშიაც ბეგები და აღები შედიოდენ, მიიღო თავის გავლენის ქვეშ ყარსისა და არდაგანის ოლქები.

რადგანაც ბათომში და მის ოლქში ინგლისელების ოკუპაცია იყო,—საბჭომ ამ ოლქზე ვერ გაავრცელა თავისი გავლენა. ახალციხის ტრაგედიის ავტორები ამ საბჭოს მეთაურები იყვნენ, როგორც იყვნენ მაგ. სერვერ-ბეგ ათაბეგოვი და ზოგიერთი ხიმშიაშვილები. დაარსებიდანვე საბჭო მტრულ პოლიტიკას აწარმოებდა საქართველოსთან; და როდესაც მან ამ პოლიტიკით ყარსი და არდაგანი სომხეთს დაუმორჩილა,—იგი 1919 წლის აპრილში დაიშალა.

ართვინის საბჭო ინგლისელების პროტექტორატის ქვეშ დაარსდა. ართვინი, არდანუჯი, შავშეთი და შემდეგ მურღული ამ საბჭოს გავლენის ქვეშ იყო. საბჭოს მეთაური იყო ინგლისელი აფიცერი—კაპიტანი ბრუსსი. რამოდენიმე ხნის შემდეგ საბჭომ დაინახა, რომ ერთ მხრივ ბათომში დენიკინელების შტაბი დაარსდა, მეორე მხრივ სომხები არდანუჯის საზღვრებამდე მოვიდენ, ბათომ-ართვინ ყარსის გზა სამხედრო გზათ გადააქციეს, რომელზედაც სამხედრო მასალები გადაჰქონდათ. ამ მოვლენებმა საბჭოს ეჭვები დაუბადა ინგლისელების პოლიტიკისადმი და იგი სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ ყრილობას დაუკავშირდა. ამან გამოიწვია ის, რომ ინგლისელების გენ.-გუბერნატორმა კუკ-კოლისმა ეს საბჭო 1919 წლის აგვისტოში დაშლილათ გამოაცხადა.

„სედაი-მილლეთის" საბჭო თითქოს ყარსის საბჭოს, აგრეთვე „ითთიხად"-ისა და „მუსავატი"-ს განყოფილებად დაარსდა; მაგრამ ნამდვილათ უმთავრესად ეს იყო დენიკინელების ორგანიზაცია. როდესაც ბათომში მოლლოვის საბჭო დაარსდა იმ მიზნით, რათა ბათომში და მის ოლქში დენიკინელების ადმინისტრაცია ყოფილიყო,—„სედაი-მილლეთის" სწორედ ამ საბჭომ იქ თავისი სამი წარმომადგენელი გაგზავნა; ამით იგი ხელს უწყობდა და აძლიერებდა დენიკინელების ბატონობას. როდესაც 1919 წლის 14 აპრილს მოლლოვის საბჭო და ცოტა ხნის შემდეგ ყარსის საბჭოც დაიშალა,—„სედაი-მილლეთის" საბჭოც ცოტათი შესუსტდა. მაგრამ ის ისევ განაგრძობდა არსებობას ბათომში—თურქ-ბაზარში და ეს ორგანიზაცია მუდამ ღია იყო უცხოეთის აგენტებისათვის სხვადასხვა ინტრიგების მოსაწყობათ. ამან გამოიწვია ის, რომ 1920 წლის თებერვალში „სედაი-მილლეთმა" იწყო მუშაობა გარეგნულათ თითქოს აჭარისტანის რესპუბლიკის დაარსების სასარგებლოთ; ნამდვილათ კი მისი მოღვაწეობა იქეთ იყო მიმართული, რათა ბათომისა და მისი ოლქის საკითხი ინტერნაციონალურ საკითხათ დარჩენილიყო. ამას მოჰყვა 1920 წლის მარტში ლონდონის კონფერენციისა და აპრილში სან რემოს კონფერენციის დადგენილება ბათომის საკითხის შესახებ, რომელიც იმასვე ჰგულისხმობდა. მაგრამ საქართველოს დემოკრატიამ არა მარტო ბოლშევიკებთან 7—8 მაისს დაამტკიცა თავისი პოლიტიკის სისწორე; მან თავისი სიმტკიცე ანტანტასთანაც ბათომის საკითხშიაც გამოიჩინა და იქ—ბათომში და მის ოლქში 7 ივლისს თავისი რევოლუციონური დროშა აფრიალა.

ამ რიგათ ქართველი მუსულმანი დემოკრატია პოლიტიკურათ გადარჩენილი იქნა. უკვე ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ; ამ ხნის განმავლობაში სამაჰმადიანო საქართველოში თავი იჩინა ბევრმა საკითხებმა.

შემდეგ წერილებში ჩვენც ამ საკითხების გაშუქებას შევუდგებით.

თამაზ ხიმხიაშვილი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 17.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

დასავლეთის ფრონტზე.

მოსკოვი. 17 ნოემ. ლეტიჩევის მიმართულებით ჩვენი ჯარები ქალ. ლეტიჩევს 12 ვერსის მანძილზე მიუახლოვდენ. პროსკუროვის რაიონში მაგარი ბრძოლების შემდეგ ჩვენ დავამარცხეთ მტერი და მდინარე ბუგისკენ მივიწიეთ. კამენეც-პოდოლსკის რაიონში ნოემბრის 16 ჩვენმა ჯარებმა აიღეს ქალაქი კამენ-პოდოლსკი. ქერჩის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ქერჩი უბრძოლველად აიღო. ხელთ ვიგდეთ დიდძალი სამხედრო ნადავლი.

ვრანგელის დალუპვის შემდეგ.

ვრანგელის დალუპვის შემდეგ ჩვენ გავანადგურეთ სხვადასხვა ბანდიტთა რაზმები უკრაინაში და დასავლეთ რუსეთში. მუშები და გლეხები, რომლებიც გამარჯვებას ზეიმობენ, ფხიზლად უნდა იდგნენ თავის პოზიციებზე. ვრანგელის განადგურების შემდეგ დასავლეთის ბურჟუაზია იძულებული იქნება გაუწიოს ანგარიში საბჭოთა რუსეთს და აღადგინოს მასთან სავაჭრო დამოკიდებულება. მაგრამ არის ინგლისში მეორე ბურჟუაზიული მიმდინარეობა—ეს სამხედრო პარტია, რომელიც არ ანებებს თავს რუსეთის წინააღმდეგ მტრობას. სამხედრო პარტია ოცნებობს საქართველოში ბათომის დაკავებას და ამ პარტიის მიზანი არის ბაქოს დაკავება. საბჭოთა რუსეთი იმედოვნებს, რომ ინგლისში გაიმარჯვებს ის ჯგუფები, რომლებიც საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების მომხრენი არიან. საბჭოთა რუსეთი აფრთხილებს დასავლეთის ბურჟუაზიას, რომ იგი მზათ არის მოიგერიოს ახალი თავდასხმა.

ჩიჩერინის პროტესტი.

გარეშე საქმეთა კომისარიატმა მიიღო ცნობები, რომ ინგლისს განზრახვა აქვს საქართველოს საშუალებით ბათომი ჩაიგდოს თავის ხელში. ამის გამო ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ჩიჩერინმა გაუგზავნა განცხადება, რომელშიაც იგი პროტესტს აცხადებს რუსეთის ქალაქის დაკავების განზრახვის გამო და ამბობს, რომ ბათომის დაკავება იქნება პირდაპირ მუქარა საბჭოთა რუსეთის და მისი მოკავშირის ადერბეიჯანის წინააღმდეგ. მოკავშირეების მხრით ეს იქნება ცდა კავკასიაში ახალი ფრონტის შექმნისა და რუსეთის კვლავ ომში ჩარევისა. საბჭოთა რუსეთი ყოველ ზომებს მიიღებს ანტანტის ცდის განხორციელების განზრახვის წინააღმდეგ. ასეთივე განცხადება ჩიჩერინმა გაუგზავნა საქართველოს მთავრობას.

სომხეთის და ოსმალეთის ომი.

სომხეთის მთავრობამ ოსმალეთის მიერ წარმოდგენილი ცნობები მიუღებლად სცნო და გადასწყვიტა ომის გაგრძელება.

„პრავდის" მეთაური.

მოსკოვი. 17 ნოემ. „პრავდის" მეთაურში „ბაქოს კარებთან" სწერია: საბჭოთა რუსეთს სამხრეთიდან კვლავ საფრთხე მოელის. ვრანგელი დამარცხებულია, მაგრამ ლონდონის და პარიზის ბირჟის მხეცები არ ცხრებიან. უკანასკნელ დროს ანტანტის პრესა ხარსა სცემს ოსმალეთის მიერ ბათომის დაკავების განზრახვის გამო და ბრიტანეთის და საფრანგეთის ფლოტის გაგზავნის საპიროების შესახებ. ყველაფერი ეს კაპიტალისტთა მხეცების ჩვეულებრივი მეთოდია, მაგრამ ფაქტია ის, რომ იწყება სამხრეთის ახალი ავანტიურა.

ლიონის ცნობები

ყირიმის ევაკუაცია.

„პტი პარიზიენი" იუწყება: გენერალი ვრანგელი კონსტანტინოპოლში მოვიდა. კონსტანტინოპოლში მისულა აგრეთვე სევასტოპოლიდან გამოქცეული 40,000 ლტოლვილი.

მოწოდება რუსი ხალხისადმი.

პარიზიდან იუწყებიან: ლვოვმა და მაკლაკოვმა რუსის ხალხს მოწოდებით მიმართა, რომ ისინი არ დაეცენ სულით. თუმცა ვრანგელი დამარცხდა, მაგრამ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც გრძელდებაო, სწერენ ისინი. გლეხები უკვე იმაღლებენ ხმას საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ. ამ მოძრაობას უნდა დაუჭიროთ მხარი და რუსეთი მონობისაგან უნდა გავანთავისუფლოთო.

მდგომარეობა საბერძნეთში.

მოსული ცნობებით თარალისმა მიიღო თავის თავზე ახალი კაბინეტის შედგენა. ვენიზელოსი საბერძნეთს სტოვებს.

ლიუცერნიდან იუწყებიან, იმ ოტელში, რომელშიაც ექს-მეფე კონსტანტინე, ექს-დედოფალი სოფიო, პრინცი პავლე და მათი ამალა სცხოვრობს, დიდი სიცხოველეა.

ათინაში ვენიზელოსის მოწინააღმდეგეებმა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეების მიმართ იარაღი იხმარეს. მოკლულია ორი ბავშვი. საქმეში სამხედრო ძალა ჩაერია.

ლიტვის გაყოფის შესახებ.

თანახმად ბოლშევიკური რადიოს ცნობისა პოლონეთსა და ლიტვას შორის საფრანგეთის მთავრობის შუამავლობით ლიტვის გაყოფის შესახებ ფარული ხელშეკრულება დაიდო. ეს ცნობა უსაფუძვლოა. საფრანგეთის მთავრობას არავითარი ცნობა არა აქვს ისეთი ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ლიტვის გაყოფას შეეხება. საფრანგეთი ყოველთვის მომხრე იყო, რომ ეს საკითხი ერთა ლიგას გადაეწყვიტა და როგორც ვიცით, პოლონეთის მთავრობაც იმავე აზრისა იყო.

ზემო სილეზიის პლებისციტი.

„ექსცელსიორი" აღნიშნავს: გერმანელები ზემო სილეზიის პლებისციტზე გავლენის მოხდენას ცდილობენ. ისინი ცდილობენ შეიძინონ დახოცილ სილეზიელების პიროვნების ბარათები, რათა ეს ბარათები დაურიგონ სხვა რაიონის მცხოვრებთ, რომლებიც ამგვარი ბარათის საშუალებით არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ.

სამხედრო სამსახურის ვადა საფრანგეთში.

სამშაბათს მინისტრთა საბჭოში მთავრობის ყველა წევრებმა სამხედრო სამსახურის ვადათ 18 თვე მიიღეს ერთხმად. ეს დადგენილება ძალაში შევა 1922 წლის ოქტომბრიდან.

ერთა ლიგაში.

სამშაბათს სხდომაზე ილაპარაკეს ვივიანმა, ბურჟუამ, ლორდ რობერტმა, სესილმა, ტიტონიმ და ბრანტინგმა.

ინგლისი და ექს-მეფე კონსტანტინე.

„ეკლერი" სწერს: ინგლისურ ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ დიდი ბრიტანეთი, ისე როგორც საფრანგეთი არ მოითმენს ექს-მეფე კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნებას. ექს-მეფე ისევე გერმანიისადმი თანაგრძნობით არის გამსჭვალული.

მდ. დუნაის ინტერნაციონალიზაცია.

დუნაის ინტერნაციონალურ კონფერენციის სხდომა ნოემბრის 16 შესდგა. მიიღეს სუბ-კომისიის წინადადება მდინარის ინტერნაციონალიზაციის შესახებ. შემდეგი სხდომა 1921 წლ. აპრ. 1 დაინიშნა, როდესაც ხელშეკრულებას მეორეთ განიხილვენ.

იტალია და სერბია.

ბელგრადი. სერბიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვესნიჩმა შემდეგი განცხადება გააკეთა: საფრანგეთსა და ინგლისს სურს იტალიასთან ჩვენი შეთანხმება. ჩვენ გვგონია, რომ ჩვენთვის აუცილებელია კეთილ მეზობლური განწყობილების დაკავება იტალიასთან და ამიტომ გადავწყვიტეთ დათმობის გზაზე დადგომა.

ბელგიაში.

ბრიუსელი. იმის გამო, რომ კარტონ დე ვიარტმა ვერ შეადგინა ჯერ კიდევ კაბინეტი, სხდომა სამშაბათისთვის გადაიდო.

გერმანული ცნობები

გერმანელთა წინააღმდეგ.

პრაგიდან იუწყებიან: ჩეხო-სლოვაკელ ტყვეების მიტინგზე ხალხი აღელვეს გერმანელთა წინააღმდეგ. ეს ტყვეები ციმბირიდან იყვნენ ახლად დაბრუნებულნი. ხალხი შევარდა გაზეთების რედაქციებში და მათ დიდი ზარალი მიაყენა. „პრაგის ტაგებლატი" ამბობს, რომ მისი ზარალი სულ უკანასკნელი ნახევარ მილიონ კრონას უდრის. ხალხმა დაიკავა გერმანული თეატრი და მოითხოვა, რომ წარმოდგენა ჩეხურ ენაზე ყოფილიყო; მან ხელთ იგდო გერმანელ სტუდენტების საცხოვრებელი ბინა და იგი შეურაცხყოფას აყენებდა გერმანელ მცხოვრებთ. მიუხედავათ იმისა, რომ ვერსალის ხელშეკრულების ძალით მცხოვრებთ მინიჭებული აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა მთავრობის წარმომადგენელნი არავითარ ზომებს არ ღებულობდენ მცხოვრებთა დასაცავად. გერმანელნი საშინლად აღელვა ჩეხო-სლოვაკების მიერ მათ მოძმეთადმი მიყენებულმა შეურაცხყოფამ ტეპლიცაში, ეგერში და პრაგაში; შიში აქვთ, რომ სერიოზული ექსცესები არ გამოიწვიოს ამ ამბებმა მთელ ჩრდილო-ბოჰემიაში.

შიმშილობა გერმანიაში.

გაზეთ „ევრფის" კორესპონდენტი აღნიშნავს იმ საშინელ პირობებს, რომელშიაც იმყოფება გერმანელთა უდიდესი ნაწილი. მას სხვათა შორის მოჰყავს მრავალი მაგალითი გერმანელ მუშათა და აგრეთვე ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორთა ოჯახების ცხოვრებიდან: მისი სიტყვით ეს ოჯახები ნელ-ნელა შიმშილის გამო სიკვდილს უახლოვდებიან. ბერლინის ერთ ერთ პირველ დაწყებით სასწავლებელში აღმოჩნდა, რომ ბავშვების 2% არა ჰქონდა საცვლები, ავტორი ამბობს, რომ აუცილებელ საპიროებას წარმოადგენს საფრანგეთმა და გერმანიამ გაიგონ ურთი-ერთი მდგომარეობა.

ზემო სილეზიის ავტონომია.

გერმანიის სახელმწიფო საბჭომ ერთხმად დაადგინა, რომ ზემო-სილეზიას ავტონომია მიეცეს.

არჩევნები პრუსიაში.

პრუსიის სეიმის მამასახლისთა კომიტეტმა დაადგინა მოხდეს პრუსიის ახალი არჩევნები თებერვლის 21.

საქსონიის არჩევნების შედეგი.

საქსონიის სეიმის არჩევნებმა, სადაც აქამდის უმეტესობას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატები, დაამტკიცა, რომ გაძლიერებულა საშუალო კლასების პარტიები, რომლებთაც მიიღეს 47 ადგილი. კომუნისტური გაზეთი „როტე-ფანე" არჩევნების ამგვარ შედეგს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა—თავის დამღუპველათ სთვლის.

პოლონეთის ჯარების შეჯგუფების გამო.

ლონდონში, პარიზსა და რომში მყოფმა გერმანიის ელჩებმა მიიღეს ინსტრუქციები ყურადღება მიაქციონ უცხო სახელმწიფოებს იმ ხმებზე, რომელიც ზემო-სილეზიის საზღვრებთან პოლონეთის ჯარების შეჯგუფებას შეეხება.

ბოლშევიკების კომისარი.

ბოლშევიკების კომისარი ვონსენსკი ბერლინში ჩამოვიდა.

რკინის გზის შემოსავალი.

გერმანიის რკინის გზების შემოსავალმა გასულ აგვისტოში მიაღწია 1350 მილიონ მარკას 509 მილიონ მარკის წინააღმდეგ, რომელიც წარსული წლის აგვისტოში შემოვიდა. ამავე დროს ხარჯები 5—6-ჯერ გადიდდა.

უმუშევართა ყრილობა.

უმუშევართა ყრილობამ, რომელიც ბერლინში მოხდა, დაადგინა მოითხოვოს უმუშევართათვის ან სამუშაოს და ან იმდენი დახმარების მიცემა, რაც მათი არსებობისათვის აუცილებელია. ყრილობამ მოითხოვა აგრეთვე მუშათა საბჭოს კანტროლის დაწესება წარმოებაზე.

სომხეთის მისიის ცნობა

სომხეთის მთავრობის მინდობილობით ერევნიდან თფილისს ჩამოვიდა ნოემბრის 17 სომხეთის პარლამენტის წევრი ა. ი. ხატისიანი. მისი ჩამოსვლა დაკავშირებულია მიმდინარე მოვლენებთან.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესს ბიუროს ბიულეტენიდან.

18 ნოემბერი.

თევკი ფაშის მთავრობის დეკლარაცია.

ტრაპიზონი. 10 ნოემბერი. თევკი ფაშის მთავრობის დეკლარაცია, სხვათა შორის შეიცავს შემდეგს: მთავრობა იმყოფება მეტად მძიმე პირობებში, მაგრამ კაბინეტს იმედი აქვს, რომ მას დაეხმარებიან მოკავშირე სახელმწიფოები და აღდგენილ იქნება მშვიდობიანობა. მთავრობა შეეცდება მოსპოს არსებული დუალიზმი, (ორ მთავრობიანობა) რასაც ქვეყანა მიჰყავს დაღუპვისაკენ. დაიცავს რა ხალხის ღირსებას და პატიოსნებას, კაბინეტი ერთგული დარაჯი იქნება ქვეყნის ნაციონალური ინტერესებისა. ჩვენს კაბინეტს მიზნათ აქვს დასახული მოიპოვოს ხალხის ნდობა და ამიტომ არის, რომ გაუქმებულად ვაცხადებთ ყოველგვარ ცენზურას, რომელიც მიმართული იყო პრესის წინააღმდეგ. რაც შეეხება ფინანსიურ მხარეს, კაბინეტი შეეცდება თავიდან აიცილოს ზედმეტი ხარჯები, რომ ამით გამოასწოროს ქვეყნის მძიმე მატერიალური მდგომარეობა.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ნოემბრის 18.

სტუდენტთა სოციალური განწყობილება.

მოსკოვი „იზვესტიაში" დაბეჭდილია წერილი რედაქციის მიმართ, რომელშიაც ავტორი მოსკოვის სტუდენტების აღმაშფოთებელ სულიერ განწყობილებას აღნიშნავს. სტუდენტთა დაუშვებელი ყოფა-ქცევა დამამტკიცებელია იმ საშინელ გაბრაზებისა, რომელსაც სტუდენტობა საბჭოთა ძალა-უფლების მიმართ გრძნობს.

შეშა.

მოსკოვის გუბერნიის საბჭოთა თავმჯდომარეების კრებაზე გააკეთეს მოხსენება მოსკოვში შეშის შემოტანის სრულიად შეწყვეტის შესახებ.

მოსკოვის ცხოვრება.

მოსკოვის გარნიზონის უფროსმა გამოსცა ბრძანება. თანახმად ბრძანებისა: მოსკოვში უნდა გაძლიერდეს სადარაჯო რაზმები, 2) რაზმებს ევალებათ მოსკოვის ქუჩების კონტროლის გაწევა. ამასთანავე მათ ევალებათ მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ეტლებით და ავტომობილებით მოსიარულე ხალხს, მათ არა თუ მარტო პასპორტები, არამედ სხვა დოკუმენტებიც უნდა გასინჯონ, 3) ღამით ყაზარმებიდან ჯარის კაცების გაშვება რაც შეიძლება უნდა შემცირდეს, 4) მოქალაქეებს ღამის 12 საათ. შემდეგ ეკრძალებათ ქუჩებში გამოსვლა, 5) სამხედრო დაწესებულებათა პასუხისმგებელ პირებს ევალებათ დაიჭირონ კავშირი თავდაცვის კომიტეტთან და რესპუბლიკის შინაურ სამსახურის სარდალთან და სხ.

სიმართლეს მოკლებული ხმები.

მოსკოვი. „იზვესტიაში" დაბეჭდილია მთავრობის ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი: „უცხოეთის პრესა ავრცელებს ხმებს თითქოს საბჭოთა ჯარში მასიური დეზერტირობა იყოს გავრცელებული, თითქოს რუსეთში ხდებოდეს აჯანყებები, ტერორისტული აქტები, ხიდების და გზების აფეთქება და სხვა". აღნიშნული ხმები ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია.

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

ლონდონი. (რადიო) თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა შეკითხვებზე განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთში კიდევ ბლომად იმყოფებიან ინგლისის ქვეშევრდომნი, რომელნიც სამშობლოში დაბრუნებას ელიან. ლოიდ-ჯორჯის ფიქრით, საბჭოთა მთავრობას არაფერი ექნება საწინააღმდეგო, რომ ინგლისის მოქალაქენი გაანთავისუფლოს, როდესაც კი ეს პირები გამოვლენ რუსეთიდან და ბოლშევიკების მხრივ შესწყდება დიდი ბრიტანეთის საწინააღმდეგო აგიტაცია, ინგლისის მთავრობა მზად იქნება, რომ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება აღადგინოს.

ზარალის გამომრკვევი კომისია

ლონდონი (რადიო) ზარალის გამომრკვევმა კომისიამ მოკლე დროში კონკრეტიულად უნდა გამოარკვიოს იმ თანხის რაოდენობა, რომელიც გერმანიამ საფრანგეთს უნდა გადასცეს. ინგლისი თანხმაა რომ დაკმაყოფილებულ იქნეს საფრანგეთის მოთხოვნილება, მაგრამ მოითხოვს ანაზღაურების ციფრი არ აღემატებოდეს იმას, რისი გადახდაც შეუძლია გერმანიას. პრესას იმედი აქვს რომ ეს საკითხი სამართლიანად გადასწყდება.

რუსეთის ტიფი.

ვარშავა პოლონეთის მთავრობამ მიიღო სასტიკი ზომები იმ მიზნით, რომ რუსეთიდან ტიფი პოლონეთში არ გადავიდეს.

ბეჭდვითი საქმის პროფესიონალურ კავშირის ყველა წევრებს

- პრეზიდიუმი ბეჭდვითი საქმის საზოგადო კრებისა კავშირის ყველა წევრთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ კვირას, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში შესდგება გაგრძელება საზოგადო კრებისა, სადაც გარჩეულ იქნება კითხვა გამგეობის ახალი არჩევნებისა, რომელიც გამოწვეულია წევრთა მასსიური პროტესტების გამო.

პრეზიდიუმი.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ **თავდაცვის საბჭოს დაარსება.** მთავრობის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ თავდაცვის საბჭოს დაარსების შესახებ, მთავრობამ დაადგინა: დაარსოს თავდაცვის საბჭო იმავე საფუძველზე, რა საფუძველზედაც იყო დაარსებული იგი თანახმად აპრილის 27 ბრძანებისა.

◆ **სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადება.** თანახმად გზათა მიმოსვლის მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: მიეცეს გზათა მიმოსვლის დეპარტამენტს უფლება რკინის გზების მთავარ სახელოსნოებში სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებისა.

◆ **იუსტიციის სამინისტრომ** წარუდგინა მთავრობას განსახილველად პროექტი დეკრეტისა ყოფილ თავად ნიკოლოზ მინგრელსკის ქონების ჩამორთმევის შესახებ. თანახმად პროექტისა 1) ყოფილ თავადის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მინგრელსკის უძრავი და მოძრავი ქონება, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად, 2) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი დამფუძნებელი კრების მიღებისა.

◆ **გზათა დეპარტამენტის მასალათა** განყოფილებამ დეპარტამენტის საბჭოში წარადგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ გადაიწეროს ადერბეიჯანის რკ. გზაზე ღირებულება იმ ნავთისა, რომელიც ჩიჩინაძის მიერ გამოგზავნილი იყო ბაქოს საბარგო სადგურიდან თფილისში და რომლის რაოდენობაც 7 984 ფუთს უდრიდა. ეს ნავთი გამოგზავნილი იყო ოქტომბერში და იგი ჯერაც არ შემოუტანიათ საქართველოში.

◆ **სატარიფო პალატაში.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა ჩექმის მკერვისათვის შემდეგი ტარიფი დააწესა: 1) მაგარი ლანჩით—2500 მან. წყვილში, 2) რბილ ლანჩით—2200 მან.

— სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა ქალაქთა კავშირის მოსამსახურეთათვის პრემიები დაამტკიცა. პრემიალური ჯილდო ნოემბრის პირველიდან არის შემოღებული და შემდეგ ციფრებში გამოიხატება: მოანგარიშეს—1450 მან. თვეში, მანქანაზე გადამწერს და რეგისტრატორს 950 მან.

◆ **გერმანელების გადმოსახლება საქართველოში.** საქართველოში გერმანელების გადმოსახლების საკითხის განხილვის შემდეგ მთავრობამ დაადგინა: მიანდოს მიწად მოქმედების მინისტრს მიმართოს ბერლინში მყოფს საქართველოს წარმომადგენელს, რათა მან დაწვრილებითი ცნობები გამოგზავნოს იმ პირთა შესახებ, რომლებსაც საქართველოში გადმოსახლება სურთ.

◆ **მისასალმებელი დეპეშა.** ახალგაზრდა მარქსისტთა ბათომის კომიტეტმა ქ. კაუცკის შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „ბათომის მარქსისტული ახალგაზრდობა მხურვალედ მოგესალმებათ საერთაშორისო სოციალისტური დემოკრატიის ბელადს. ვიმედოვნებთ, რომ ვართ შვილები იმ დემოკრატიის, რომლის გმირულმა ბრძოლამ საშუალება მოგვცა მოხუცი მასწავლებელი ჩვენს მიწა წყალზე მყოფი გვეხილა. გისურვებთ დღეგრძელობას მსოფლიო დემოკრატიის საკეთილდღეოთ".

— ამავე კომიტეტმა შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა მთავრობის თავმჯდომარეს: „საქართველოს დემოკრატიის ძვირფას მასწავლებელს მხურვალედ ესალმება ბათომის მარქსისტული ახალგაზრდობა. გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას. ღრმათ გვრწამს, რომ ჩვენი გმირი დემოკრატია უვნებლად გამოვა ყოველგვარ განსაცდელისაგან და მას ვერ შეაშინებს ვერც მოსკოვის წითელი რეაქცია და ვერც ანგორელი იმპერიალისტები". კომიტეტის თავმჯდომარე ე. წულაძე.

◆ **ქალაქ თფილისის მოურავი** იბარებს მოქალაქე სევერიანე კეთილაძეს.

◆ **მედიკამენტი სოხუმისათვის.** ქალაქთა კავშირის თავმჯდომარემ სოხუმიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც სოხუმის სავადმყოფო კასის რწმუნებულთა საერთო კრება მადლობას უცხადებს ქალაქთა კავშირს სავადმყოფო კასის აფთიაქისთვის წამლების გაგზავნის გამო.

◆ **ქალაქის ტელეფონის ქსელის** უფროსი ამით აცნობებს აბონენტებს, რომ ტელეფონით სარგებლობის გადაცემა სხვა პირებისათვის, ან დაწესებულებისათვის მის ნებადაურთველათ და დაწესებული ფასის ახლათ შემოუტანელათ არ დაიშვება. ტელეფონის ქსელში ასეთი აბონენტების აღმოჩენას შედეგათ მოჰყვება ტელეფონის აპარატის მოხსნა და ახალი შეერთება კი მოხდება მხოლოდ საერთო რიგით.

◆ **აფხაზეთის კომისარიატის ჯანმრთელობის** განყოფილებამ გადასწყვიტა ყოფილი სამხედრო ლაზარეთი გადააკეთოს საოლქო საერობო სავადმყოფოთ 80 ლოგინით. აქედან 40 ლოგინი დანიშნული იქნება სამხედრო პირთათვის. ფიქრობენ მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრას იმ მიზნით, რომ მთავრობამ ზემოაღნიშნულ სავადმყოფოს საორგანიზაციო ხარჯებისათვის გადასდოს მილიონი მანეთი.

◆ **გუდაუთის შუამდგომლობა.** გუდაუთის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა თამბაქოზე და ღვინოზე საფუთო გადასახადის გადიდების შესახებ.

◆ **სახელმწიფო დრამის თეატრში** შაბათს, ნოემბრის 20 და სამშაბათს, ნოემბრის 23 პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება პიესა ალ. შანშიაშვილისა „უგვირგვინო მეფენი". ამ პიესისათვის საგანგებოდ დეკორაციებს და ტანისამოსს ამზადებს მხატვარი ვალ. სიდამონ-ერისთავი. პიესაში მრავალი საცეკვაო და სიმღერის ადგილებია და როგორც სანახაობა კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. აგერ ერთი კვირაა, რაც თეატრს ათბობენ.

◆ **თფილისის მილიციის უფროსს** დაუყონებლივ აუკრძალავს ყოველ გვარ შენობებზე და ღობეებზე აფიშების და სხვა განცხადებების გაკვრა. ისინი უნდა იკვრებოდეს ამისათვის სპეციალურად არსებულ საფიშო სვეტებზე. უბრძანებს კომისრებს, რომ ამ ბრძანების შესრულებას სასტიკი თვალყური ადევნონ და სადაც გაკრულია განცხადებები დღემდე, დაუყონებლივ მოაფხეკინონ სახლის ან სადგომების პატრონებს და ან მათ მეეზოვეებს. სამი დღის შემდეგ, დღეის რიცხვიდან, კომისრები და მათი თანაშემწეები, ამ ბრძანების შეუსრულებლობაში შენიშნული, ჩემ მიერ იქნებიან დასჯილნი. ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვაშვილი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, პარასკევს, 19 ნოემბერს ლექციებს წაიკითხავენ ცენტრში: საისტორიო-საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაზე: ალ. ტყემალაძე—მეცნიერება სახელმწიფოზე და ბ. თევზაია—პოლიტიკურ ეკონომიას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებაზე: შ. ყანჩაველი—ბოტანიკას და ვ. ცეცხლაძე—ანატომია და ფიზიოლოგია: რაიონულ განყოფილებაში დაიწყებს ლექციებს კითხვას ადგილობრივ ფინანსებზე—ტკაჩევი ახობაძე.

საბურთალოზე ხოჭოლავა წაიკითხავს ფიზიოლოგიას და ავლაბარში—გ. ნაკაშიძე—ქართულ მწერლობიდან—ბარათაშვილზე. ლექციები ცენტრში დაიწყება 7 ს. განყოფილებებში კი 6 ს.

◆ **მარგანეცი.** გზათა დეპარტამენტის საბჭოში შევიდა შუამდგომლობა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საკონცესიო საზოგადოებისაგან, რომელიც ითხოვს, რომ მარგანეცის საწყობისათვის იჯარით გადასცენ ადგილი სადგურის ახლო. გზისა და ექსპლოატაციის სამსახურის განყოფილებანი თანახმა არიან, რომ დაკმაყოფილდეს ეს შუამდგომლობა.

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** დღეს ფინანსთა მინისტრის მოადგილის აღმასრულებელ ს. ავალიანის თავმჯდომარეობით საბაჟო ტარიფის და საქონლის შემოტანის და გატანის საკითხის შესახებ მინისტრის საბჭოს სხდომა შესდგება.

◆ **ჩუღურეთში** წელს განსაკუთრებული აუდიტორია სახალხო უნივერსიტეტს არ აქვს, ვინაიდან ეს რაიონი ცენტრთან ახლო არის და ვისაც ლექციების მოსმენა სურს შეუძლია იაროს იქ. მეცადინეობა სახალხო უნივერსიტეტში დაიწყო 1 ნოემბერს. ჩაწერილია

400 მშრომელამდე. ქართულ განყოფილებებზე სწავლობს მშრომელი მასსა, რომელიც ლექციებს მუყაითად ესწრობა და დიდის დაკვირვებითაც ისმენს. სამწუხაროდ მეცადინეობას ხელს უშლის ბინის სიმცირე. თავშესაფარი, რომელიც აქ არის და სულ 6 ბავშვს შეიცავს, მიუხედავად გამგეობის მრავალი ცდისა, დღესაც გადაყვანილი არ არის და უნივერსიტეტის მეცადინეობას აფერხებს.

✦ **რესპუბლიკის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა** კავშირის გამგეობა ღრმა მადლობას უცხადებს ბ-ნ პართენ გოთუას და მისი სახით ცენტრო ბანკის გამგეობას კავშირის სასარგებლოთ ა. წ. 13 ნოემბერს გამართულ საღამოზე 10,000 მ. შემოწირულობისათვის.

✦ **თფილისის ტანხავარჯიშო საზოგადოება** „შევარდენი"-ს ბინაზე კვირას, 21 ნოემბერს, დილის 11 საათზე (შევარდენის ქ. № 4) დანიშნულია საზ. წევრთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

✦ **დაკარგული ბავშვი** ორშაბათს, 15 ნოემბერს ოჯახიდან წავიდა 12 წლის ქალი ფაცია კოწიას ასული გოგოძე და მას შემდეგ არ დაბრუნებულა. ნიშნები შემდეგია: ტანმორჩილი, ხმელი, ტანთ აცვია ზოლებიანი კოფთა, კაბა ტილოს—ორივე ძველი. ფეხზე დახურული ფეხსაცმელი. თმა გაკრეჭილი აქვს და თავი შიშველი. თუ ვინმემ რაიმე გაიგოს, ვთხოვ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: მთავარი სახელოსნო მექვაბეთა ცეხში იუსტინე გოგაძეს.

✦ **ნოე ხიხარულიძემ** გადასწყვიტა თავისი ტრაგიკულად დაღუპული შვილის ავთანდილის ხსოვნის აღსანიშნავათ მისსავე სახელობაზე გამოსცეს ი. მჭედლიშვილის თხზულებანი რამდენიმე, წიგნად.

კრებები.

შაბათს, ნოემბრის 20-ს სად. 6 საათ. ქალთა პირველ გიმნაზიაში დანიშნულია ქალაქ თფილისის ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებელთა მასწავლებლებთა საერთო კრება: დაბეჯითებით სთხოვენ ყველა მასწავლებლებს აუცილებლათ გამოცხადდენ.

— დღეს, საღამოს ექვსის ნახევარ ს. დანიშნულია მეოთხე რაიონის ს.-დემ. ქალთა ორგანიზაციის კრება. გასარჩევია მასწრაფო კითხვები და ასარჩევია კოლექტივი.

სახალხო გვარდიაში

მისალმებანი.

შორაპნის ოლქის სახალხო გვარდიელთა საერთო ყრილობამ შემდეგი მისალმების დეპეშა გაუგზავნა:

1) დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. მიმდინარე წლის 14 ნოემბრის შორაპნის ოლქის სახალხო გვარდიელთა საერთო კრება მიესალმება თქვენის სახით ნამდვილ მუშა-გლეხთა ინტერესების დამცველ, საქართველოს სუვერენულ ორგანოს—დამფუძნებელ კრებას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას.

2) გვარდიის მთავარ შტაბს. მიმდინარე წლის 14 ნოემბრის შორაპნის ოლქის სახალხო გვარდიელთა საერთო კრება მიესალმება მთავარ. შტაბს, როგორც შეარაღებული დემოკრატიის მეთაურს და იმედს გამოსთქვამს, რომ მისი ხელმძღვანელობით სახალხო გვარდია, როგორც ფიზიკური და მორალური ძალა ყოველთვის ძლევს დემოკრატიული საქართველოს და რევოლიუციის მტრებს.

3) მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას. მიმდინარე წლის 14 ნოემბერს, მოისმინა რა მოხსენება ამხ. სეით დევდარიანისა საქართველოს თანამედროვე მდგომარეობაზე, შორაპნის ოლქის გვარდიელთა საერთო კრება მოგესალმებათ თქვენ მშრომელი ხალხის მებაირახტრეს და იმედს გამოსთქვამს, რომ საქართველოს დემოკრატია თქვენი ხელმძღვანელობით და ბრძნული პოლიტიკის წარმოებით ადვილათ მიაღწევს ოცნების ქვეყანას—სოციალიზმს.

4) კარლ კაუცკის. 14 ნოემბერს, შორაპნის ოლქის გვარდიელთა საერთო კრება სალამს გიძღვნით თქვენ ინტერნაციონალის მცხოვან ბელადს. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ მომავალში კვლავინდებურათ უხელმძღვანელოთ მსოფლიო დემოკრატიას.

კრების თავმჯდომარე **გ. შენგელია.**

ბათომი

(ტრაპიზონის ცნობები).

ყოფილი მეფის კონსტანტინეს მომხრე ბერძნები ძლიერ ცდილობენ, რომ ოსმალეთთან დაახლოვებას რეგულიარული სახე მიეცეს, ვენიზელოსის მომხრე გაზეთები ერთხმად გმობენ ამ პოლიტიკას.

— ანატოლიაში მისულა საბჭოთა აზერბეიჯანის წარმომადგენელი სერიოზულ მანდატით.

— სტამბოლის მთავრობის წარმომადგენლები ანგორაში მიუღიათ.

— ქემალ ფაშას გადაუწყვეტია სომხეთის ტყვეები ანატოლიაში გაგზავნოს. („ზ. ფ.").

„წითელ" აზერბეიჯანში

აზერბეიჯანის „სოვნარხოზის" ორგანო, ჟურნალი „სახალხო მეურნეობა"-ის ოქტომბრის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილ წერილში ავტორი არკვევს, თუ რაში მდგომარეობს აზერბეიჯანის სამეურნეო ორგანიზაციის მორიგი მიზანი.

„ეს არის უსათუოდ—ეგრეთ-წოდებულ პროვინციის ორგანიზაცია; ე. ი. მთელი იმ აზერბეიჯანის, რომელიც მდებარეობს ქ. ბაქოსა და მისი სამრეწველო რაიონის საზღვრების იქით. მართალია მთელი ხუთი თვის განმავლობაში (გადატრიალების შემდეგ) ახალი მთავრობის მთელი ძალა შეეწირა ბაქოს ნავთის მრეწველობას და „მაზუთის სამთავროს". ხოლო პროვინცია—სოფლები და სამაზრო ცენტრები—სულ ზერელეთ ეზიარენ ახალ ეკონომიურ წესით ცხოვრებას.

ძველი წყობილება უკვალოთ განადგურდა მხოლოდ პოლიტიკურ დამოკიდებულებათა სფეროში. აზერბეიჯანის პროვინციის ეკონომიკას კი არსებითად არაფერი ახალი არ მიუღია: პროვინციებში ნასახიც არ არის სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე შენებისა, მეურნეობა პროვინციისა დასახიჩრებული, დანგრეული და განადგურებულია.

ეს სიტყვა, სამიტინგო ფრაზა კი არ არის, არამედ ეს—ჭეშმარიტი სიმართლეა...

უკვე დიდ აღელვებაა ჩვენი წარმოების ისეთ დიდ და ძვირფასს დარგის დაღუპვის გამო, როგორიც არის მებამბეობა. 150 ათას დესეტინა ბამბის პლანტაციების მაგიერ ჩვენ დაგვრჩა 30,000 ათასი დესეტინა მიწა, სადაც ბამბაა დათესილი.

იღუპება მეორე სიმდიდრეც—მევენახეობაც. ის ერთი მევენახენიც კი, როგორებიც არიან აზერბეიჯანის გერმანელი კოლონისტები, ჰკაფავენ თავის ვენახების ნაწილს, რომ ამ არევ-დარევაში უზრუნველ ჰყონ თავი პურით.

ჯერ კიდევ არსად არა სწერენ (იმიტომ რომ ყველამ არ იცის) აზერბეიჯანის მესაქონლეობის დაღუპვის შესახებ"...

შემდეგ ავტორს მოჰყავს კიდევ მეურნეობის რამდენიმე დარგი, სადაც ნათლად მოსჩანს უკანდახევა. ამის მიზეზი, მისი აზრით, რასაკვირველია, არ არის საბჭოთა მთავრობა, რადგანაც ეს დეგრადაციის პროცესი მათ ძალა-უფლების გაბატონებამდის დაიწყო, მაგრამ ის ნაწილობრივ უსაყვედურებს საბჭოთა მთავრობას იმას, რომ „მთელი თავისი ყურადღება მან მიაქცია ბაქოს, და უყურადღებოთ დასტოვა აზერბეიჯანის დანარჩენი მეურნეობა. იქ კი, არ არის სათანადო კანტროლი, იქ მოქმედებდენ, როგორც მხოლოდ მტრებს შეუძლიანთ მოქმედება".

ავტორი უთითებს საინტენდანტოზე, რომელიც უთავბოლოთ ძლეტავს საქონელს თავისი რეკვიზიციებით, ნარხომზების გამოუცდელ ხელმძღვანელებზე, რომლებმაც ღვინის აღრიცხვა გაიგეს, როგორც აღკრძალვა მეღვინეების თავის სარდაფებთან მისვლისა, რის გამოც დაიღუპა მრავალ მილიონათ ღირებული რაოდენობა ღვინისა და ძმრათ გადაიქცა. შემდეგ იგი იხსენიებს იმ დეფექტებს, რომლებიც გამოწვეულია ბიუროკრატიული აპარატის არსებობით და რომლის გამოც მრეწველობა თანდათან იღუპება.

ბოლოს ავტორი ამბობს, რომ საჭიროა ენერგიული მუშაობა პროვინციაში. არა „გლეხის კვირა", არამედ მთელი წლიწადი მუშაობა".

უცხოეთი

ავსტრია.

არჩევნების შედეგები.

1919 წელს არჩევნების დროს გაიმარჯვეს სოციალ დემოკრატებმა, რომლებმაც 162 დეპუტატიდან გაიყვანეს 70, იმ დროს, როდესაც მეორე უძლიერესმა ნაციონალურმა პარტიამ ქრისტიანულ სოციალისტებმა მიიღო 64 მანდატი.

ამა წლის 17 ოქტომბერს მომხდარ არჩევნებში გაიმარჯვეს ქრისტიანულ სოციალისტებმა, რომლებმაც 190 მანდატიდან მიიღეს 70, ხოლო სოციალ-დემოკრატებმა 63 მანდატი. ამგვარათ, პირველი ადგილი ქრისტიან სოციალისტებმა დაიკავეს, სოციალ-დემოკრატებმა კი—მეორე ადგილი.

1919 წელთან შედარებით, სოციალ-დემოკრატებმა დაჰკარგეს 88,000 ხმა და ამ დაკარგულ ხმების უმრავლესობას—ვენის მცხოვრებლების ხმები შეადგენენ.

როგორც კი გამოქვეყნდა არჩევნების შედეგები, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანომ „არბეიტერ ცეიტუნგმა" ოფიციალურათ განაცხადა, „რომ სოციალ-დემოკრატები შემდეგისათვის უარს აცხადებენ ქრისტიან სოციალისტებთან ერთად მუშაობაზე, თანამშრომლობაზე", და ამასთანავე იხსნიან თავის თავიდან ყოველივე პასუხისმგებლობას ქვეყნის გამგებლობისათვის.

ქრისტიან სოციალისტები ამ განცხადებამ ცოტა შეაკრთო. იმათი ორგანო „რეიხსპოსტი" სწერს: სოციალ-დემოკრატებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი პარლამენტში მეორე უძლიერეს პარტიის წარმოადგენენ და ამიტომ მათ არ შეუძლიანთ თავიდან აიცილონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ ამის გამო აწევთ.

ჩეხო-სლოვაკია.

ჩეხიის მუშათა დელეგაციის არ დაშვება საბჭოთა რუსეთში.

„პრავო ლიდუ", ჩეხიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო, იტყობინება, რომ რეველის საბჭოთა წარმომადგენლობამ უარი სთქვა ჩეხო სლოვაკის მუშათა დელეგაციის ნაწილის პასპორტების ვიზის შესახებ. რეველში შეჩერეს: გაზეთ „მიტელინტი"-ს რედაქტორი, ამხ. გ. დუნდერი, გაზეთ „მუშ. ს" რედაქტორი ამხ. კ. მიტაკი, მდივანი ამხ. პოლიაკი ბრნოდან და ამხ. ტატინა ქ. სვიხოვიდან. დელეგაციის დანარჩენი წევრები დაუბრკოლებლათ გაუშვეს რუსეთში.

„პრავო ლიდუ" თავის მხრივ უმატებს: „დასახელებული ამხანაგები—კომუნისტები არ არიან. ამხ. ტატინა, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრია. ის ეკუთვნის პარტიის მემარცხენე ფრთას, მაგრამ არ ეთანხმება კომუნისტების უკიდურესობებს.

ბოლშევიკები სავსებით იღებენ ბურჟუაზიულ მთავრობების ყველაზე ცუდ და ყველაზე ნაკლებათ ქვეყნიურ საშუალებებს. შეეშინდათ რა იმ სოციალისტების „მავნე აგიტაციისა", რომლებსაც არა სურთ მათი მონებათ გადაქცევა, მათ არ მისცეს ნება „არაკომუნისტებს" შესულიყვნენ რუსეთში.

საფრანგეთი.

ორლეანის კონგრესზე.

3 ოქტომბერს დიდი კამათი გაიმართა გენერალურ შრომის კონფედერაციის ორიენტაციის შესახებ. რამოდენიმე ორატორი მკაცრათ აკრიტიკებდა რეფორმისტულ ტაქტიკას, მაგრამ წინააღმდეგნი იყვნენ მოსკოვის მე-3 ინტერნაციონალისა, რომელსაც სურს საფრანგეთის სინდიკალური მუშათა მოძრაობა დაუმორჩილოს პოლიტიკურ პარტიას.

გორგეიმა უმრავლესობის სახელით წარმოსთქვა ვრცელი, მეტად სერიოზიული და კარგათ დასაბუთებული სიტყვა. მან განაცხადა, რომ ის დიდი მეგობარია რუსეთის რევოლიუციისა, მაგრამ მისი რწმენით ლენინის დიქტატურა ეწინააღმდეგება რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს. ის წინააღმდეგია მე-3 ინტერნაციონალში შესვლისა, რომელსაც სურს მონებათ აქციოს თავისუფალი ხალხი. საჭიროა არჩევანის გაკეთება საერთაშორისო მოძრაობის მთლიანობის, რომლის დროსაც შესაძლებელია რეაქციის დამარცხება, და მოსკოვის ორგანიზაციასთან შეერთების შორის, რომელიც უსათუოდ გზას გაუკაფავს მსოფლიო რეაქციას.

ჟუომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც ის იცავდა კონფედერაციის ბიუროს პოლიტიკას და ხსნიდა ამ პოლიტიკის ძირითად იდეებს. მან განაცხადა, რომ ბიუროს არც ერთი აქტი არ იყო კლასთა თანამშრომლობის იდეით ნაკარნახევი—არც ვაშინგტონში წასვლა, არც მონაწილეობა შრომის ბიუროში, რომლის დირექტორიც ალბერტ ტომაა, არც ეკონომიურ საბჭოს შექმნა. მან სთქვა: ჩვენ დავიწყეთ დიდი მუშაობა მთელი კონგრესის დიდი ყურადღების ატმოსფეროში. ჩვენ უნდა დავანახოთ ბურჟუაზიას, რომ შეგვიძლია შემოქმედებითი მუშაობა, რომ ჩვენი პრეტენზია—ეკონომიურ ცხოვრების ხელმძღვანელობის თავის ხელთ აღების მოთხოვნილება—კანონიერია. ჩვენ ვქმნით მოსამზადებელ სიმაგრეებს რევოლიუციის გზაზედ.

ჟუოს სიტყვას კონგრესი ოვაციებით შეხვდა. მან დაათავა, და დასვა საკითხი ნდობის შესახებ: „ჩვენ ვცხოვრობთ მოწამლულ ატმოსფეროში. პირადათ მე მზათა ვარ წავიდე. მაგრამ ჩვენ წავალთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონგრესი გამოაჩენს თავის უსუსურობას თავის ღირსების და კერძო ამხანაგების ღირსების დაცვის საქმეში."

ბიუროს მოხსენების შემდეგ კენჭისყრის დროს 1482 ხმა მისცა მის ნდობის რეზოლიუციას, 691 კი წინააღმდეგ. ამგვარათ მესამე ინტერნაციონალის მომხრეები კიდევ ერთხელ დამარცხდენ, საფრანგეთის პროლეტარიატმა, სინდიკატების სახით, უარჰყო კომუნისტების პლატფორმა.

სხვათა შორის, ყრილობაზე ერთმა ექსტრემისტმა წაიკითხა რუსეთის ბოლშევიკურ პროფესიონალურ კავშირების დელეგაციის გრძელი მიმოხილვა, რომელიც იმეორებდა ჩვეულებრივ ბრალდებებს სინდიკატების მიმართ.

ამ მიმართვის წაკითხვის შემდეგ ჟუომ განაცხადა, რომ ის არ უპასუხებს რუს დელეგატებს. ისინი უმართლონი არიან, მათ ელაპარაკებათ ნაღველი, როგორც ძლიერ დატანჯულ ხალხს. ბრალი მათ კი არ ედებათ, არამედ მათ, ვინც მათ აწვდის ყალბ ცნობებს.

ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის კომიტეტის წევრის კალანდარიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა სტატისტიკურ კომისიისა და მთავარ კომიტეტის ორი კრება, რომლებზედაც განიხილეს საკითხი საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა სრულიად აღწერისა. კომისიის მუშაობის დაწყების წინ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომიტეტის მიზანია გამოიყენოს წინასწარი აღწერა: ქალაქთა საბჭოების, პარლამენტის და ნაფიც მსაჯულთა საარჩევნო სიების შესადგენად. ამასთანავე კომიტეტის მიზანი არის გამოარკვიოს ამ მთავარ აღწერით ქალაქთა თვითმართველობების საქმიანობა. კომისიის ერთმა წევრმა გამოსთქვა სურვილი გამოკვლევისა: თუ როგორ გავლენას ახდენს სასურსათო კრიზისი მცხოვრებლებზე, როგორ სასურსათო დახმარებას იღებენ მუშები და მოსამსახურენი, როგორ გავლენას ახდენს სასურსათო კრიზისი ავადმყოფობის გავრცელებაზე და სხვა. მაგრამ ამ საკითხის წინააღმდეგ გაილაშქრეს კომისიის სხვა წევრებმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეს საკითხი საექიმო სტატისტიკის კომპეტენციაში შედისო. რაც შეეხება აღწერის პრაქტიკულად განხორციელებას, გადაწყდა, რომ ამრიცხველები განსაკუთრებულ უწყებაში შეიტანონ. (ს. დ. ს.

ფინანსთა სამინისტროს საბჭოში

ფინანსთა სამინისტროს საბჭოს ნოემბრის 15 ს გამართულ სხდომაზე განიხილეს საკითხები: 1) ქუთაისის სააქციონერო ბანკის წესდებისა, 1) ყვირილის სააქციონერო ბანკისა და 3) კახეთის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ბანკის დამტკიცების შესახებ. საკითხების განხილვის შემდეგ საბჭომ დაადგინა: დართოს ნება აღნიშნულ ბანკების დაარსებისა და სთხოვს ფინანსთა მინისტრს დაამტკიცოს მათი წესდებები.

საბჭომ მოიწონა აგრეთვე საკითხი თფილისის მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თფილისის სავაჭრო-სამრეწველო ბანკათ გადაკეთების შესახებ ძირითად თანხის გადიდებით, საკითხი საერთო საბაჟო ტარიფის შესახებ გადაიდვა შემდეგ სხდომისათვის, რომელზედაც მოიწვევენ მომარაგების სამინისტროს და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებს.

ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ახალ სააქციონერო საზოგადოებისა „შინაურ და საგარეო ვაჭრობის შესახებ, წესდება გამოსაქვეყნებლათ სენატს გადაეგზავნა. ახალ საზოგადოებას მიზნათ აქვს ქარხნების, ფაბრიკების და სხვ. საწარმოვო დაწესებულების მოწყობა, რომ ამ გზით განავითაროს რესპუბლიკის მრეწველობა.

— ფინანსთა სამინისტროში დანიშნულია კრება თფილისის და მისი მაზრის ხარჯთ ამკრებ ინსპექტორებისა.

— კონსტანტინოპოლში მყოფი საქართველოს სამინისტროს ეკონომიური აგენტი იუწყება: უკანასკნელ დღეებში ამერიკისა და იაპონიის წარმომადგენლებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ მიყიდონ საქართველოს გემები. ამასთანავე ამერიკელები ითხოვენ გემების საფასურს არა ფულით, არამედ მარგანეცით გადახდას. ეკონომიური აგენტი სთხოვს ფინანსთა სამინისტროს სახელმძღვანელო დირექტივებს. ამასთანავე კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან: აქ საგრძნობლათ გაიზარდა ინტერესი საქართველოს ნავთსადგურებისა და კონსტანტინოპოლის შორის გემების წესიერ მიმოსვლის მოწყობის ირგვლივ. ევროპის მრეწველები საქართველოს მარგანეცით და ქვანახშირით მეტათ დაინტერესებულნი არიან. მოთხოვნილებების გაზრდის გამო დაარსდა საგანგებო საგემო საზოგადოება, რომლის მიზანიც საქართველოსა და ევროპის შორის სამგზავრო და საბარგო გემებით მიმოსვლის მოწყობა შეადგენს. (სდს).

შრომის სამინისტროში

(ქალაქ თფილისის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატს).

შენიშნულია, რომ ფაბრიკა-ქარხნების და სხვა კერძო დაწესებულებების შინაგანი (ადგილობრივი) კომიტეტები დაუდევრად ეკიდებიან სიების და სხვა საბუთების შედგენის საქმეს და ჯეროვან ყურადღებით არ ეპყრობიან. შეაქვთ სიებში ისეთი მოსამსახურეები, რომელთაც თავის ჯამაგირის და თანამდებობის მიხედვით არა აქვთ უფლება ისარგებლონ მომარაგების ფონდის იაფფასიანი სურსათ-სანოვაგით. სიების შედგენის დროს ადგილობრივ არ არკვევენ მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრთა შემადგენლობას და ეყრდნობიან მუშა-მოსამსახურის პირად განცხადებას, რომელიც, რასაკვირველია, დაინტერესებულია მეტი რაციონის მიღებაში და შეცდომაში შეყავს კომიტეტი. აძლევენ მოწმობებს იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ნათესავი მუშისა და მსახურისა მის ხარჯზე სცხოვრობს, მაშინ, როდესაც შემდეგი კვლევა-ძიება ამტკიცებს, რომ ნაჩვენები ნათესავი სცხოვრობს ან სხვის ხარჯზე ან-და თვით მსახურებს და თავს საკუთარი შრომით ირჩენს. არის ისეთი შემთხვევებიც, რომელიც სრულიად უარყოფს მუშა მოსამსახურეთა საქმიანობის უნარს. ასეთ არა სასურველ და დასაგმობ შემთხვევებათ ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ ყორღანოვის და ამხ. ელისტრონის სადგურის მუშები, რომელნიც პურს და სხვა სურსათ-სანოვაგეს თვით დამქირავებელ ყორღანოვსაც უნაწილებენ: შეუტანიათ ყორღანოვი სიაში და ჯამაგირის რაოდენობაც-კი განუსაზღვრიათ, თვეში 1000 მან. და სხვა და სხვა. ადგილობრივი კომიტეტების ასეთი დაუდევრობა საქმისადმი დიდ გაუგებრობას იწვევს საქმეში. ერთი და იგივე პირი ორ ალაგას იღებს სურსათ-სანოვაგეს სხვადასხვა დაწესებულების საშუალებით; უფლებით უკანონოთ სარგებლობენ დამქირავებელნი და მრავალი სხვა, რომელთაც არა აქვთ უფლება მიიღონ სურსათ-სანოვაგე. გარდა იმისა, რომ ეს დაუდევრობა კომიტეტებისა ზარალს აყენებს სახელმწიფოს, ზარალობენ თვით მუშებიც. მუშათა მაგიდა მიაპყრობს რა თქვენს ყურადღებას ადგილობრივი კომიტეტების უთავბოლობა-დაუდევრობას და მათ შედეგებს, გთხოვთ გააფრთხილოთ ისინი, რომ ამიერიდან მაინც ფრთხილად ეკიდებოდენ საქმეს და სიების შედგენის და მოწმობების გაცემის წინასწარ შეამოწმონ (ადგილობრივ) მუშა-მოსამსახურის წევრთა რაოდენობა და არავითარ შემთხვევაში არ შეიტანონ სიაში დამქირავებელნი და ისეთი პირნი, რომელთაც თანამდებობის მიხედვით არ აქვთ უფლება ისარგებლონ მომარაგების ფონდით. (სდს).

ოპერა „ღალატი"

სახელმწიფო თეატრის დირექცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა რაც შეიძლება მეტი ოპერები დასდგას. ქართულ ოპერების შემდეგ პირველი ყურადღება აქვს მიქცეული ისეთ სამუსიკო ნაწარმოებებს, რომელნიც თუმცა უცხოელებიდგან, მაგრამ მაინც ქართულ სიუჟეტებზე და ქართული მასალით არიან დაწერილნი. ერთ ამგვარ ნაწარმოებს წარმოადგენს ოპერა „ღალატი", რომელიც დაწერილია ალ. სუმბათაშვილის ცნობილ დრამას სიუჟეტზე, ქართული მუსიკის მასალით იპოლიტოვ ივანოვის მიერ. ეს ოპერა ჯერ კიდევ შარშან უნდა დადგმულიყო, მაგრამ საქმე შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ არც სახელმწიფო თეატრის წიგნთსაცავში და არც საზოგადოთ თფილისში ამ ოპერის სამუსიკო მასალა, კლავირები და განსაკუთრებით ორკესტროვკა არ აღმოჩნდა.

დირექციამ გაუგზავნა წერილი მოსკოვში ოპერის ავტორს იპოლიტოვ ივანოვს და სთხოვა საჭირო სამუსიკო მასალა. ნახევარი წლის ცდის შემდეგ მოვიდა პასუხი და გამოირკვა, რომ არც ავტორს აქვს დასახელებული მასალა, რადგან მოსკოვის არეულობის დროს მას იგი უკვალოდ დაჰკარგვია. ამის შემდეგ დირექცია შეუდგა ოპერის გაორკესტრებას და საჭირო მასალის დამზადებას.

ორკესტროვკა და თარგმანი მიენდო კომპოზიტორ ქ. ფოცხვერაშვილს, რომელმაც ეს საქმე დაამთავრა ამა წლის 15 აგვისტოს.

ოპერის თარგმნის დროს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ადგილები ოპერისა უნდა შეიცვალოს და გამოსწორდეს ქართული ტექსტის და თვით სუმბათაშვილის დრამის მოთხოვნილებების მიხედვით. ამ სახით ოპერა რამდენათ შესაძლებელი იყო გადმოაქართულა. ოპერა დაიდგმება დღეს, 19 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში.

ოპერას სდგამს ალ. წუწუნავა. უმთავრეს როლებს ასრულებენ: ზეინაბისას—ალეშკო, ერეკლესას—სარაჯიშვილი, სოლეიმანისას—საბინინი, ბალეტი მომზადებულია მორდკინის მიერ. დირიჟორობს სტოლერმანი.

მუსიკოსი.

დაჭრილ-დასახიჩრებულთა დახმარების შესახებ

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი მისწერა რესპუბლიკის სამაზრო ერობებს:

თანახმათ მიღებულ ცნობებისა რესპუბლიკის მაზრებში არ არის სათანადოთ მოგვარებული საქმე დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის დახმარების აღმოჩენისა: მიუხედავათ 1919 წ. 31 იანვრის და 10 ივნისის კანონებისა და სამხედრო სამინისტროს მიერ მიღებულ ზომებისა ადგილი ქონდა მრავალ დეფექტებს, რომლებმაც უკიდურესობამდე მიიყვანა დაჭრილ-დასახიჩრებულთა მდგომარეობა, ასე მაგალითათ: 1) არ არსებობს დაჭრილ დასახიჩრებულთა რეგისტრაცია, რის გამო დახმარება ეძლევათ მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც გამოცხადდებიან. უმრავლესობამ კი არ იცის არსებობს თუ არა რაიმე დახმარება და ყოველგვარ დახმარების გარეშე რჩებიან. 2) მიუხედავათ 1919 წ. 31 იანვრის რ. წესების მე 2-ე მუხლისა, დახმარება ეძლევათ ყველას ერთნაირად, გაურჩეველათ შრომის უნარის დაკარგულების ხარისხსა. 3) დახმარება რიგდება არა ყოველთვიურათ, როგორც ეს უნდა ხდებოდეს თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს ამა წლის 23 ივნისის № 13147 ცირკულიარისა; ზოგიერთ ერობებში მაგალითათ, დახმარება გაუცემელია ამა წლის 1 ივნისიდან. 4) დანახარჯის ანგარიშები ზოგიერთ ერობებში სრულიათ არ არის შედგენილი, ზოგიერთებში კი არ იტოვებენ სათანადო გასამართლებელ საბუთებს. ამგვარათ ანგარიშების წარმოება, თავის თავათ ცხადია, აბრკოლებს ახალ თანხების გადაგზავნას. 5) თემები არ იღებენ არავითარ ზომებს საქმის მოგვარებისათვის. გატყობინებთ რა ამას, გავალებთ მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის დახმარების საქმეს, და გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა სასტიკათ იქმნეს დაცული კანონის მიერ დაკისრებული ზომები. (სდს).

საყურადღებოთ

15, 16 ნოემბერს თითქმის მთელი დღის განმავლობაში ვხედავდი შემდეგ უწესობებს: საქონლის სადგურზე, სადაც მუშათა მაგიდის შეშის საწყობია, დაიცალა რამდენიმე ვაგონი კომბოსტო; დაცლის დროს მოხდა მასიური ქურდობა. გაჰქონდათ—ქალს, კაცს, ბავშვებს და მოხელეებსაც. ზოგს ტომრებითაც. იშვიათად ნახავდით ვისმეს, რომ ერთი ან ორი თავი კომბოსტო არ ჰქონოდა ხელში ან პალტოში ამოჩრილი. ერთი სიტყვით, სურათი ყოველად საზარელი იყო. ბევრი ვეძიე ვინმე გულშემატკივარი, მაგრამ ვერ ვიპოვე.

მე არა მჯერა, რომ ხსენებული ქონება კერძო ვაჭრისა იყოს...

გ. აფხაზავა.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტში.

პრემიული შრომის პროექტი.

16 ნოემბერს, შესდგა საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა, სადაც მოსმენილ იქნა შრომის სამინისტროს წარმომადგენლის მოხსენება ქ. თფილისის წარმოებებსა და დაწესებულებებში პრემიულ შრომის შემოღების შესახებ. ამ საკითხზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია აღმ. კომიტეტის წევრთა შორის. ამ პროექტის მიზანშეწონილობას შრომის ნაყოფიერების აწევას და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადიდებაში, ისინი სხვადასხვა ნაირად უყურებდენ.

დადგენილ იქნა მისი საბოლოო გადაწყვეტა გადატანილ იქნას აღმასრულებელ კომიტეტსა და თფილისის პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის შეერთებულ სხდომაზე.

ფრონტის დამხმარე კომიტეტის ორგანიზაციისათვის.

ამავე სხდომაზე დადგენილ იქნა ფრონტის დამხმარე კომიტეტში, რომელიც ეწყობა დამფუძნებელ კრებისა და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ, აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლად გაიგზავნოს ამხ. შ. აბდუშელიშვილი.

პასუხად ბ-ნ ტ. მარგველაშვილს

გაზ. „საქართველოს" მე-135 ნომერში წავიკითხე თქვენი პასუხი ჩემ წერილების გამო, რომელნიც დაიბეჭდა გაზეთ „ერთობაში".

როდესაც მე ვწერდი, რომ თქვენ, ბ-ნო მარგველაშვილო, ქავთარაძესთან ერთად იყავით ევროპაში გამგზავრებული თამბაქოს, მატყლის თუ სხვა საგნების სარეალიზაციოთ, მე ვეყრდნობოდი თვით თქვენ სიტყვებს, რომელიც თეთრზე შავით არიან აღბეჭდილნი იმ მოხსენებაში, რომელიც ევროპიდან დაბრუნების შემდეგ თქვენ თვით წარგიდგენიათ მომარაგების სამინისტროსათვის. პირველსავე გვერდზე თქვენი მოხსენებისა თქვენ სწერთ:

„დაახლოვებით 18 თებერვალს, 1920 წელს მივიღე წინადადება ბ-ნ ა. ლ. ქავთარაძის მიერ წავყოლოდი „თანამშრომლათ და ამხანაგათ ევროპაში საქონლის რეალიზაციისა და ფქვილის საყიდლათ". მარგველაშვილი დათანხმებულა იმ პირობით, **თუ მომარაგების მინისტრი მოიწონებდა როგორც მის გამგზავრებას უცხოეთში** ბ-ნ ქავთარაძესთან, ისე მათ ურთი-ერთ შორის შესიტყვებას მარგველაშვილის გასამრჯელოს შესახებ. თუმცა ბ. ქავთარაძე ზედმეტათ სთვლიდა ამაზე მოლაპარაკებას მინისტრთან, **მარგველაშვილმა კატეგორიულათ გაუცხადა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ის სამინისტროსაგან არ იქნებოდა გაგზავნილი, ის ქავთარაძეს თხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა**: რის შედეგაც ბ-ნმა ქავთარაძემ ინება მოლაპარაკება მინისტრთან და, მისი გადმოცემით, მიიღო მისი სრული **თანხმობა და განკარგულება მარგველაშვილის დანიშვნის შესახებ სამინისტროს უწყებაში**. მეორე დღეს ბ. დავითაშვილმა ოფიციალური ქაღალდი გადასცა მარგველაშვილს, რომელიც ამოწმებდა, რომ **უკანასკნელი უცხოეთში მიდიოდა ბ-ნ ქავთარაძის თანამშრომლათ**".

ამის შემდეგ თქვენ, ბ-ნო მარგველაშვილო, რა საბუთით ბრძანებთ თქვენ „მცირე შენიშვნაში", რომ „არას დროს მომარაგების სამინისტროს რწმუნება თუ ოფიციალური წარმომადგენლობა არ მქონიაო"? თანამშრომლათ ხომ ბრძანდებოდით მაინც?

სად არის სიმართლე?

ნება გვიბოძეთ ბ-ნო, ტიტე, გკითხოთ: სად სცდებით, თქვენ, თქვენს მოხსენებაში თუ „მცირე შენიშვნაში"?

თქვენ თითონ გვიპასუხეთ და მითაც დაგვაკმაყოფილებთ. არავის მოწმობა არ დაგვჭირდება, თქვენვე დაგიჯერებთ. ერთს კი ვიტყვით: სანამ თქვენს „შენიშვნას" მოათავსებდა, „საქართველო"-ს რედაქცია ვალდებული იყო გაეგო სინამდვილე და გაეცნო იმ მოხსენების შინაარსი, რომელზედაც მივუთითებდით ჩვენ წერილებში. ეგების მაშინ რედაქციას ასეთი „შენიშვნის" დაბეჭდვა ზედმეტათ მაინც მიეჩნია.

თქვენ ევროპაში რეალიზაციის საქმეზე მუშაობის შესახებ სწერთ:

„ვფიქრობ ჩემმა დახმარებამ გაზიდულ საქონლის მოვლა პატრონობაში და გასაღების საქმეში (ვის საქონელს უვლიდით ან პატრონობდით ან ასაღებდით თუ ასეთ რამეში შესაფერისი მონდობილობანი არ გქონდათ, თუ ეს მარტო თქვენი მოქალაქეობრივი ვალი იყო? ენი). სარგებლობა მოუტანა რესპუბლიკის ხაზინას, რის დასამტკიცებლადაც ხელთა მაქვს საბუთები! და თქვენ იმოწმებთ მინისტრებს: ქ. საბახტარაშვილს, ქ. კანდელაკს და სახელმწიფო კონტროლიორს ფ. გოგიჩაიშვილს.

მე ჩემს წერილებში თქვენთვის ბრალი არ დამიდვია, ვითომც პირადათ თქვენ რესპუბლიკის საზარალოთ გემუშაოთ,—ეს სრულიად არ შეადგენდა ჩემს მიზანს. მე ვამბობდი და ეხლაც ვიმეორებ, რომ, როდესაც გაზეთ „საქართველოს" ავტორი სდებდა ბრალს მომარაგების სამინისტროს და მინისტრს, თითქოს მათ თამბაქოს საქმე გაეფუჭებიათ „უვიცობით", „უთავლოთ" და სხვა ასეთებით, რომ „გაუსაღებელი თამბაქო ევროპაში ყრია და ყოველ დღე ახალ-ახალი ხარჯები ზედ ეყრება", ჩვენ ასეთი ბრალდებები არამც თუ უარვყავით, არამედ ყოველსავე ობიექტივობას მოკლებულ ცნობებათ ჩავთვალეთ და ვამბობდით, რომ „საქართველოს" მიერ „უთავლოთ" და „უთაოთ" მონათლულმა მინისტრმა და სამინისტრომ შესძლეს ადგილობრივ სოხუმში ფუთ თამბაქოს განაღდება 3—3½ გირვანქა სტერლინგათ იმ დროს, როდესაც „საქართველოსთან" ახლო მდგომ ხალხმა იგივე თამბაქო ევროპაში ჩაზიდული ვერ გაანაღდა 1½—2 გირვანქა სტერლინგათ მეთქი. ეს ფაქტია, რომელსაც, ბ-ნო ტიტე, თქვენ ვერ უარჰყოფთ. მოხსენებაშიც გაქვთ თქვენ მოყვანილი ცნობები თუ რა შეგთავაზეს თამბაქოში და მერე უფრო როგორ დაეცა ფასები. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გიმუშავნიათ ევროპაში თქვენ, ან რა სარგებლობა მოგიტანიათ სახელმწიფოსათვის, ასეთი კითხვა მე ჩემს წერილებში არ გამირკვევია და ეს არც შეადგენდა ჩემს მიზანს. მე ვწერდი, რა უნდა ქნას სახელმწიფომ, თუ კი ევროპის ფასები მისთვის ხელსაყრელნი არ არიან თქო? საქართველო ხომ ვერ უკარნახებს ლონდონს თავის ფასებს? ამის დასამტკიცებლათ ვამბობდი: „შეეკითხეთ თქვენს ამხანაგებს ა. ქავთარაძეს და ტ. მარგველაშვილს, ისინი თვით მოგახსენებენ მიზეზებს, თუ რატომ ვერ შესძლეს თამბაქოს და მატყლის განაღდება". ჩვენ ამას ეხლაც ვიმეორებთ ყველა მათდა საპასუხოთ ვინც ისეთ რაიმეს დაწერას მოისურვებს, როგორც თქვენმა პარტიულ გაზეთმა „საქართველომ" ქნა. ამის უფლებას ვერავინ ვერ წაგვართმევს.

ჩვენ გვგონია, თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა უნდა ყოფილიყო თქვენი პარტიულ ამხანაგებისათვის, „საქართველოს" მწერლებისათვის—აგეხსნათ და განგემარტათ ის ობიექტიური მიზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზები, რომლებმაც თქვენ და ქავთარაძეს ხელი შეგიშალათ თამბაქოს თუ მატყლის სათანადო რეალიზაციის საქმეში. თუ თქვენმა ამხანაგებმა ეს მიზეზები არ იცოდნენ, თქვენ ხომ იცოდით? და როგორც რედაქციასთან დაახლოვებული პირი, მორალურათ მოვალე იყავით განემარტებინათ ეს რედაქციაში მომუშავე ამხანაგებისათვის, რომელნიც „საქართველოს" ფურცლებზედ ვარჯიშობენ მომარაგების სამინისტროს გარშემო. მაგრამ თქვენ ეს, როგორც ჩანს, არ მოისურვეთ და თავისი თავი შეიძლება, უნებლიეთ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთ.

ენი.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს, გორის სამაზრო კომიტეტს და ხაშურის ორგანიზაციის კომიტეტს.

როგორც მოგეხსენებათ მთავარი შტაბის განკარგულებით 8 ნოემბრიდან გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკის წითელი გვარდიის 10 დღის მობილიზაცია სამეცადინოთ. მე, როგორც გვარდიელი, გამოვცხადდი ხაშურის სახალხო გვარდიის შტაბში, სადაც ჩარიცხულ ვიქენ მეორე გვარდიის პირველ ოცეულში მანამ, სანამ შესდგებოდა მხედრათა გუნდი. ვმეცადინეობდი 13 ნოემბრამდე. ცამეტში კი ქართლის მე 2 ათასეულის უფროსი ბ-ნი ჩანჩიბაძე მიცხადებს, რომ თანახმად შტაბის დადგენილებისა თქვენ ყოფილხართ გარიცხული გვარდიიდან, ამისაქეის დღის რიცხვიდან, ე. ი. 12 ნოემბრიდან 1920 წ. ნუ გამოცხადდებით ნაწილში. მიმართვა № 418. ამავე დროს საქმის მწარმოებელი თხოვნის მიერ მაძლევს შემდეგ ცნობას: „Выписка изъ приказа Хашурскаго штаба Народной гвардій за № 39. § 18 30 марта 1920 годъ исключается изъ списка гвардіи 30 марта гвардеецъ резерва Маріамидзе Михаилъ Ивановичъ, какъ не соотвѣтствущій званія гвардейца и за интриганство среди гвардейцевъ".

ამრიგათ მე გამორიცხული ვყოფილვარ გვარდიიდან უკვე მე-8 თვეა. მე კი დღემდის არაფერი არ ვიცოდი. ჩემთვის არავითარი ბრალდება ხაშურის შტაბს არ წამოუყენებია. პირიქით, 30 მარტის შემდეგ ბრძოლაში ვღებულობდი მონაწილეობას, ვარ არჩეული გორის მომავალ გვარდიის კონფერენციაზე დელეგატათ და ვიყავი არჩეული გვარდიის სამეცადინო მომწყობ კომისიის წევრად. ეს ყველაფერი ხდებოდა შტაბის ხელმძღვანელ ბ-ნ სიხარულიძის თვალწინ, მაგრამ მას ერთხელაც კრინტი არ დაუძრავს ამის შესახებ, რომ გარიცხული ვარ გვარდიიდან. 1917 წ. 15 მაისიდან ვარ ხაშურის გვარდიის წევრი, ვითვლები მის ერთ დამხმარებელთაგანათ, ვყოფილვარ ყველა ბრძოლებში, ვყოფილვარ გვარდიის ნაწილების უფროსათაც და მე ჯერ არ მსმენია ასეთი ბრძოლების წამოყენება ჩემს წინააღმდეგ. მე რომ ინტრიგანი და გვარდიის წოდების ღირსი არ ვყოფილიყავი ხომ მეორეთ არ ვიქნებოდი არჩეული ხაშურის ორგანიზაციის მიერ მას ხელმძღვანელად? რატომ მაინცა და მაინც მაშინ გამომრიცხა გვარდიიდან ხაშურის შტაბმა, როცა მე მის ხელმძღვანელს ბ-ნ სიხარულიძეს სერიოზული ბრალდება წაუყენე, რომელსაც იმედია ხაშურის ორგანიზაციის საგანგებო საგამომძიებლო კომისია, ახლო მომავალში დაამთავრებს. მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ ხაშურის შტაბის არა ამხანაგური მოქმედების წინააღმდეგ და ხელმძღვანელ ორგანოებისაგან მოვითხოვ სიმართლის აღდგენას.

მ. ი. მარიამიძე.

ქ. ხაშური.
13 ნოემბერი, 1920 წ.

ს.-დ. პარტიაში

კვარცხანის ქარხანა. ერთხელ განთქმული კვარცხანის ქარხანა და მისი რაიონი,—სამი წლის განმავლობაში მკვდარ სხეულს წარმოადგენდა. ამ ხნის განმავლობაში ქარხანა დახურული იყო; ოსმალეთის შემოსევის დროს, როგორც გერმანელების კუთვნილება, ქარხანა გადარჩა გაძარცვას. უკლებლივ არის ყველა ნაწილები, მხოლოთ ჟანგისაგან არის დაზიანებული და თხოულობს გამოცვლას. 1-ლ სექტემბერს აქ საკმაოდ იქნა მოყვანილი სპეციალისტი მუშები, რომლებიც ქარხნის შესაკეთებლათ მუშაობდენ. ამ ცოტა ხანში შეკეთებაც მოთავდება და ქარხანაც უნდა იქნას ამუშავებული. მაზუთი და ნახშირიც საკმაო არის.

ხსენებულ ქარხანას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებისათვის. ერთი წლის განმავლობაში ქარხანას შეუძლია დაამზადოს არა ნაკლებ 190,000 ფუთ. სპილენძისა.

აქ არავითარი ორგანიზაცია არ არსებობდა. 1920 წლის 4 სექტემბერს შესდგა პირველი დამფუძნებელი კრება კვარცხანის სოც. დემ. მ. პ. ორგანიზაციისა ორგანიზაციაში ახლა ითვლება 25 წევრი. ხსენებულ ორგანიზაციის ინიციატივით იქნა დაარსებული პროფესიონალური კავშირი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

პარტიული მუშაობა, ორგანიზაციის ახლათ დაარსების გამო, სუსტია. წევრების უმრავლესობა ბერძნებია. რწმენა საქართველოს წესწყობილებისადმი მტკიცე და ურყეველი აქვთ.

ახლა მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო აქაურ ქარხნის ადმინისტრაციაზე. ყველასათვის ცხადია, თუ როგორ სდევნიდენ ქართველ მუშებს ძველი რეჟიმის დროს, ამ დევნას ეხლაც ადგილი აქვს კვარცხანის ქარხანაში, ბათუმის კანტორის საშუალებით, რომელსაც განაგებს წინედაც კარგათ ცნობილი მუშების დევნაში ბ-ნი კაშჩენკო, რომელსაც აქვს მინდობილი მუშების მიღება და გამოგზავნა კვარცხანის ქარხანაში. ბ. კაშჩენკო სისტემატიურად გაურბის ქართველი მუშების მიღებას. ნაცვლათ ამისა გზავნის სამუშაოთ ისეთ პირებს, რომლებიც მთავრობისაგან დათხოვნილები არიან. მცირე ნაწილს თუ ნახავთ მათში ისეთს, რომელიც საქართველოს წესწყობილების მომხრე იყოს. დანარჩენები კი სულ ყველა მტრები არიან.

საქართველოში ჩამოსვლისას ბ. კაშჩენკო იქნა დალუყვევებული, როგორც არა საიმედო პირი; მაგრამ რაღაცნაირად იქნა განთავისუფლებული, ახლა კი დროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას ვისგანაც ჯერ არს: ასეთ პირებს საქართველოში ადგილი არ უნდა ქონდეთ.

რ. შ. ველი.

ბორჩალოში. 5 ნოემბერს სოფ. სარვანში შესდგა ს. დ. პარტიის „გუმმეტი"-ს თანამგრძნობთა ორგანიზაციული კრება. კრებას დაესწრო „გუმმეტის" ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. ეფენდიევი. უხუცესმა კრებამ გახსნა რა კრება, მიმართა დამსწრეთ სიტყვით, სადაც ის მოუწოდებდა მათ შეკავშირებულიყვნენ პარტიულ იაჩეიკებში, ურომლისოთ დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში არსებობა ყოვლად შეუძლებელია.

თავის სიტყვაში ამხ. ეფენდიევი შეეხო „გუმმეტის" სხვა პარტიებთან დამოკიდებულებას და მუსტაფა ქემალის მოქმედებას, რომელიც, იმის მაგივრად, რომ მოაწესრიგოს თავისი ქვეყნის ცხოვრება, მიიწევს სხვა მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ამხ. ზ. ეფენდიევის სიტყვას დიდი თანაგრძნობით შეხვდენ. იქვე არჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც დაევალა აწარმოოს პარტიული მუშაობა „გუმმეტის" პროგრამის ფარგლებში და შეაკავშიროს გლეხების ღარიბი ნაწილი.

კომიტეტში შედიან შემდეგი ამხანაგები: თავმჯდომარეთ—რუსტამ შარიფოვი (ერობის მასწავლებელი) თავმჯდომარის ამხანაგათ ალი-მირ მირ-კადიმზადე, მდივნათ—ალი ბაღალ-ოღლი, ხაზინადრათ—ალი კიალა ოღლი და კონტროლიორათ—მამედ-გუ ეინ ზადე.

მუშათა შორის

შავი ქვის ვაგონების მტვირთველ მუშების მდგომარეობა.

(საქ. რესპ. ცენტრ. კავშირთა საბჭოს საყურადღებოთ).

შავი ქვის ვაგონების მტვირთველ მუშების მდგომარეობა აუტანელია. ზევრჯერ დასმულა კითხვა მათი მდგომარეობის შესახებ სატარიფო პალატაში. ამ კითხვებს სთვლიდნენ ხელფასის მომატების კითხვათ და როგორც ასეთს, უარით ისტუმრებდენ (ალბათ იმ რწმენით, ვითომც ჩვენ მუშები დიდ ხელფასს ვღებულობდეთ) 1920 წლის 1 იანვრამდე ჩვენი იარაღით ვმუშაობდით ამისათვის რამოდენიმე პროცენტს გვიმატებდენ ხელფასზედ, დაარქვეს ამას სპეკულიაცია და ჩვენც მოვსთხოვეთ მოეცათ მათ იარაღები და არა პროცენტი, მაგრამ განა მოგვცენ თავთავის დროზედ? რამდენი კაცის გზავნა და რამდენი ხარჯები გავწიეთ, რომ ეს იარაღები ოდნავ დამაკმაყოფილებელი მაინც მიგვეღო. რასაკვირველია, ამით (უიარაღობით) ჩვენ ვბრკოლდებოდით (როგორ შეიძლება დამტვრეულ ტაჩკით და ლაფათით და უფიცროთ ვაგონების ტვირთვა (იყო შემთხვევა, რომ ვერ შეიძლო დამტვრეული ლაფათით ტვირთვა მუშამ, თავის საკუთარი ფულით იყიდა) შემდეგ: იარაღებს, „რემონტის" მკეთებელი ხელოსნები ჩვენი ნამუშევარი ხელფასიდან კმაყოფილდება ახლაც, ხელშეკრულების ძალით ამა წლის 1-ლ იანვრიდან უნდა მიეცათ ექსპორტიერებს, ახლა გადავიდეთ ამ იარაღთან დაკავშირებულ საკრებულოს ბინის საკითხზე. ბინა გვქონდა საერთო სიის ამასაკით ვ. ნამუშევრის გასანაწილებელი, როცა ჩვენი სავალდებულო იყო მისი გაკეთება, ვაკეთებდით და როცა მათ გადაიტანეს თავის თავზე, უნდა გაეკეთებია. დღეს წყალიც კი ჩამოდის შ. გ. კედლების ამოშენებაზე (რომ მუშებმა შეიძლოს ამ სიცივეში შიგ ყოფნა) ხომ სულ არაფერი გაკეთებულა მიუხედავათ მრავალჯერ დაპირებისა (ადგილი ჩვენია და მათ უფასოთ დაუთმეთ). გარდა ამისა, იანვრის ხელშეკრულობით მუშების კადრი იყო განსაზღვრული, ე. ი. 60 კაცი უნდა გვყოლებოდა ყოველთვის 25 ვაგონის დასატვირთავათ. თუ ამაზე მეტის დატვირთვას მოითხოვდენ, ჩვენ ვალდებული ვიყავით დაგვეტვირთა და ვიწვევდით ჩვენ ამხანაგ მუშებს დროებით და ეს დროებით მომუშავეები ღებულობდენ ნორმალურ ქირაზედ ზედმეტ 25 %-ტს. მაისში, ივნისში და ივლისში მოიმატა გაზიდვამ. ცხადია, მუშების „კადრიც" უნდა გადიდებულიყო. ეს მოვითხოვეთ ჩვენ მაშინაც კი, როცა რკ. გზის სამართველოში კომისიის სხდომა იყო, სადაც დაესწრენ წარმომადგენლები გზათა დეპარტამენტის, ვაჭრობა-მრეწველობის „ჩემოს" ფოთის, შორაპნის და ჭიათურის ოქმი № 2 Окончательное разрешеніе вопроса касающееся производства работъ празд. днямъ, а равно и увеличеніе. въ связи съ этимъ кадра рабочихъ въ чіатурахъ и поти перенести на разсмотреніе Министерства труда. როცა ამ კადრის კითხვის გარჩევა მოვითხოვეთ, როგორც წარმომადგენლებმა, ექსპორტიერების წარმომადგენლებმა განაცხადეს ამ კითხვას ახლა ვერ გავარჩევთ, რადგან მომარაგების სამინისტროსთან ვართ შეთანხმებული. ისინიც ტვირთავენ გემს და როცა შევთანხმდებით იმ შემთხვევაში, გადავწყვეტთო. როცა რამოდენიმე ხნის შემდეგ მეორეთ ავედით ამ კითხვის მოსაგვარებლათ, მინისტრის ამხანაგმა გადასცა ეს კითხვა გოლდმანს დირექტივებით ისეთით, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო მისი მოგვარება (ალბათ იმ რწმენით, თითქოს ჩვენ დიდი ხელფასი გვქონდეს დაწესებული.

მესამედ სხვა დავალებებთან ერთად დავესწარი 13 ენკენისთვ. ამა წ. სატარიფო პალატის დადგენილების ოქმის წაკითხვას, სადაც მე-4 პუნქტი იყო შეტანილი, რომელიც სპობდა ძველ შეთანხმებულ დადგენილებას ჩვენ და ექსპორტიორებს შორის, რომლითაც შავი ქვის გზავნას დიდათ შეაფერხებდა. მე პროტესტი განვაცხადე ამ პუნქტის ოქმში შეტანის გამო. თვით სატარიფო პალატის ხაზინების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ ზემოთ მოხსენებულ პუნქტზე არავითარი კამათი არ ყოფილაო (ამ უხერხულობაში მყოფი თავმჯდომარე მდივანს ეკითხება—ვინ შეიტანა ოქმშიო, რაზედაც პასუხათ მიიღო; მეორე დღეს თქვენ შემიტანეთო) რის შემდეგ თავმჯდომარემ ღიათ დასტოვა კითხვა. ამ გვარათ ჩვენი ნორმის და „კადრის" კითხვა, თუ რამდენი უნდა ვიყოთ მუშები, გამოურკვეველია დღემდის, რითაც აუტანელ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ექსპორტიორები გვეუბნებიან: რამდენსაც ჩამოაყენებთ ვაგონებს, იმდენი უნდა დასტვირთოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმას გადაიხდითო. ასეთია მდგომარეობა. შეიძლება ეგონოს ზოგს როგორც ზევით ავღნიშნე და ზოგიც დარწმუნებულიც კი იყოს, თითქოს ჩვენი ხელფასის ტარიფები დიდი იყოს. გავაცნოთ ამას. იანვრის ხელშეკრულობით და შემდეგ ექსპერტიზის დამნიშვნითაც დამტკიცდა 110 მუშა დატვირთავს 50 ვაგონს, ე. ი. რომ ნორმათ ავილოთ (უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ერთმანეთზე 50 ვაგონზე ნაკლებიც კი დაიტვირთა) 50 ვ. გ. 750 ფუთამდის ვაგონში რაიც შეადგენს 37,500 ფ. ავ ლით 140 კ. რომელსაც ღებულობთ ფუთზე შეადგენს 42,500 მან. გაუყოთ 110 კაცს. თითოეულს შეხვდა 386 მანეთი. შევადაროთ, შორს არ წავალთ ქარხანა-მაღაროს ხელფასს, რომლებიც ღებულობენ დღეში ნორმალურ მუშაობით 325 მან. ამ რიგათ, განსხვავება 61 მანეთით გვქონებია. გარდა ხელფასისა რას ღებულობენ კიდევ ქარხანა-მაღაროს მუშები: შვებულება ერთი თვის წლიწადში 8000 მ. ბინა გათბობა განათება თვეში 1700 მ +12=20400 მ. საპონი ორი გირ. 400 მ +12=4800 სულ მთელი ჯამი=33200 მ. ჩვენი განსხვავება 61 მ. შეადგენს წლიწადში 18,300 მან. ასე ამ გვარათ, ისინი ჩვენზე მეტს ღებულობენ წლიწადში 14900 მ. დღეში 50 მან მასთან ჩვენ გვაქვს არა ნორმალური მუშაობა, შაბათ-კვირას და დღესასწაულ დღეებში მუშაობა, რაც იწვევს მეტი რიცხვი მუშების ყოლას, ჯამაგირები და პასუხის მგებლობა. დროა ერთხელ და სამუდამოთ გადაწყდეს ჩვენი კითხვა:

1) შესწორება ხელფასის, რომ გაუთანასწორდეს ქარხანა—მაღაროს მუშებს;

2) გამომუშავებულ იქნას, თუ რამდენი უნდა იქნეს მუდმივათ მუშები.

3) ნორმაზედ ნაკლები მუშაობა თუ იქნა ან ნაკლები ამ კადრში მყოფ მუშებს მიეცემათ შესაფერისი ხელფასი.

4) თუ ვინიცობაა მეტი მუშები დასჭირდათ, მათ მიეცემათ როგორც დროებით მუშებს 25%-ტი მეტი.

5) იარაღები (რაც აკლიათ მიეცეს დაუყონებლივ) და მასთან დაკავშირებული რაც კითხვებია იქნეს სისრულეში მოყვანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნებიან დაშალონ ეს მოწინავე მუშებისაგან შემდგარი კავშირი.

შავი ქვის ვაგონის მტვირთველი მუშა მ. დობორჯგინიძე.

პროვინცია

ს. ერთობა. (ყარაიაზის რაიონი) ისეთი ჩამორჩენილი მხარე კულტურულათ, როგორც არის ყარაიაზის რაიონი, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში არ მოიპოვება. ამ რაიონში მცხოვრები მუსულმანობაა, მხოლოდ მცირე რიცხვს შეადგენენ ახლათ ჩამოსახლებული ქართველები და დარჩენილი რუსები. არიან აისორებიც. უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ქართველები თუ ცდილობენ კულტურული დაწესებულებათა გახსნა-დაარსებას, თორემ სხვები ამაზე თავს არ იტკივებენ თათრები ხომ სრულიად მოლების ხელში არიან და მათი აზრით მხოლოდ იმან უნდა ისწავლოს, ვინც ბეგის შვილია ანდა მდიდარია, ისიც მხოლოდ წერა-კითხვა—მეტი საჭირო არ არის. აქ გადმოსახლებულთა მეცადინეობით ერობამ გახსნა ქართული სასწავლებელი, შარშან იქ სწავლობდა ოცდა ათამდე მოსწავლე: რუსები, აისორები და ძლიერ მცირე ნაწილი ქართველებისა, რუსებს ასწავლიდენ რუსულათ, აისორებს და ქართველებს ქართულათ. წელს მასწავლებელმა გამოუცხადა რუსებს, რომ თუ იქნება საკმაო რიცხვი რუს მოსწავლეებისა, მათთვის ერობა რუს მასწავლებელს მოიწვევს წინააღმდეგ შემთხვევაში კი ქართულად უნდა ესწავლათ.

ქართველების დასახლება ამ რაიონში მაინც და მაინც ვერ მიდის სასურველათ. ბევრნი მოდიან, მაგრამ ადგილობრივ ჰაერს ვერ იტანენ—ავათ ხდებიან და ისევ უკან მიდიან, დახმარებაც მთავრობის მხრით არ არის დიდი. გადმოსახლება იმდენ ხარჯს თხოულობს, რომ ორი კაკალი სიმიდი და პურით დახმარება მას ვერ უშველის. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება თუ სურთ აქ ქართველი მიწის მუშა ხალხი დასახლდეს. შარშან ვისაც თავისი საშუალებით დათესვა არ შეეძლო, მას დაურიგეს შემოდგომაზე და გაზაფხულზე თითო დესიატინის ათ ათი ფუთი პური, მაგრამ თესლათ ნაკლები ხარისხის გამოდგა და შრომაც ტყუილათ დაეკარგათ, არაფერი არ მოუვიდათ. საერთოთ არ არის მართალი გავრცელებული ხმები, თითქოს დესიატინა იძლეოდეს ჩვენებური უბრალო დამუშავებით ასი და ას ორმოცდა ათ ფუთ პურს, ნამდვილათ იძლევა, როგორც წელს გამოვარკვიეთ, ორმოცდა ათიდან სამოცდა ათამდი და ოთხმოცი თუ მოვიდა, ეს იშვიათი მიწა იქნება. წელს სოფელ ძმობაში დამსახლებელს ურიგებდენ ოჯახზე თითო ხარს. სოფელი ძმობა ადერბეიჯანის საზღვარზე. ძლიერ კარგი მოსავლიანია, მაგრამ საცხოვრებლათ უფრო ცუდია, ვიდრე სოფელი ერთობა.

წელს აქეთ პურის მოსავალი გვარიანი იყო, მაგრამ გადმოსახლებულები ბევრი უპუროთ დარჩა თესლის უვარგისობის გამო. რაც შეეხება სიმიდს, სიმიდის მოსავალი კარგი იყო, მხოლოთ გაუდმებული წვიმების გამო მისი აღება ძლიერ გაჭირდა. სიმიდი როგორც იყო აიღეს, მაგრამ ჩალა, თითქმის დალპა მინდვრებში, ძლიერ დაზარალდა წვიმების გამო თივებიც. ეს მესამე თვეა წვიმს და ჯერ პურიც არ არის დათესილი. თუ ასე გაგრძელდა კიდევ ნოემბრის დამლევამდი პური დაუთესავი დარჩება.

წვიმები წელს გაზაფხულზედაც ხშირი იყო მაგრამ, მეექვსე და მეშვიდე არხში სიმინდი ივლისი აგვისტოს სიცხეებში მაინც დაიწვა უწყლობით. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ მეშვიდე და მე-6 არხები ერთი სათავიდან ღებულობენ წყალს. ამას მიაქცია ყურადღება ადგილობრივმა გამგემ და ყარაიაზის რაიონის წყლების გამგე ინჟინერი დაჰპირდა ამ ნაკლის გასწორებას. საჭიროა ცალ-ცალკე ჰქონდეს სათავე ამ არხებს. მაშინ წყლის ნაკლულევანება აცილებული იქნება.

მთელი ყარაიაზის რაიონის ცენტრი არის სოფელი ერთობა და თათრების სოფელი ყარათაფა. აქ იმდენი დუქნებია, რომ პატარა ქალაქათაც შეიძლება ჩაითვალოს. ამას გარდა აქ ბლომათ მოდიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ვაჭრები თივის და სხვა სოფლის ნაწარმოებით.

აქაური თათრები სთესენ პურსა და ქერს, და მისდევენ მებოსტნეობას, რაც დიდ მოსავალს იძლევა. სთესენ აგრეთვე ხახვს, პამიდორს, შავ ბადრიჯანს, საზამთროს და სხვას. აგრეთვე მისდევენ მეჯოგეობას. ყავთ ბევრი ცხვარი, თხები და ძროხები. აქ ძველათ ჩამოსახლებული ერთი ქართველი, სახელათ პეტრე ქაცარავა, რომელიც დღეს კარგი შეძლების პატრონია, შეუძენია თფილისშიც სახლები და ისიც, როგორც თათრები, მისდევს სოფლის მეურნეობას, საერთოდ ყარაიაზის ველი ძლიერ კარგი სამეურნეო ადგილია და თუ ქართველებმა აქ ფეხი მოიკიდეს, ძლიერ ახლო დროს განმავლობაში გაღონიერდებიან და გამდიდრდებიან. ამით ყარაიაზიც საქართველოს განუყოფელი ნაწილი გახდება, და ადგილობრივი ცხოვრებაც უფრო მიმზიდველი და სწორეთ ამისთვის არის საჭირო მთავრობის მეტი ყურადღება და დახმარება გადმოსახლების სურვილზე, ვიდრე ახლა არის.

ჩემის აზრით თესლის და ხარების მიცემაზე მეტი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ მთავრობა გახსნიდეს აქ ერთ საკვებ პუნქტს ადგილების დასათვალიერებლათ მოსულთათვის და მეორე ფულით სესხის მისაცემ დაწესებულებას: ბანკს ან ხაზინას. აქ არ არსებობს წვრილი საკრედიტო ამხანაგობა, როგორც ჩვენში და ამისთვის დასახლებულს არ აქვს საშუალება ფული იშოვნოს, თუ მოსავალი არ გაყიდა.

რაც შეეხება მედიცინურ დახმარებას ჩამოსახლებულთათვის, დამაკმაყოფილებელია. ჩამოდიან და განაგრძობენ ენერგიულ მუშაობას სპეციალურათ მალარიის წინააღმდეგ, ექიმების კომისია ექ. კანდელაკის მეთაურობით. დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე ადგილობრივი ერობის ფერშალი რევაზ ხუციშვილი. ის დიდ ენერგიას იჩენს ავათმყოფების მოვლაში.

თვით სადგური ყარაიაზი უპირველესი სადგურია თფილისიდან ჩვენ საზღვრამდე. ყოველ დღე მიდი-მოდის აურაცხელი ხალხი და ასეთ დიდ რაიონში დღემდე ფოსტა არა გვაქვს. წინეთ, ძველ დროში სადგურზე ქონია სადგურის უფროსს ფოსტის განყოფილება და ყველა მით კმაყოფილდებოდა. დღეს საამისო ადგილი სადგურზე არ არის: აუცილებლათ ფოსტა უნდა გაიხსნას სოფელ ერთობა-ყარატაფაში. ამის შესახებ ვსთხოვეთ ადგილობრივ რაიონის კომისარს ეზრუნა ამ საქმისთვის, მაგრამ დღემდის არაფერია. და ჩვენ კი ძლიერ გაჭირვებას განვიცდით. უფოსტობის გამო ჩვენი გაზეთები და კორესპონდენციები ხან ბაქოში მიდიოდა და ხან სხვაგან. იკარგებოდა და იკარგება დღესაც. თუ ათასში ერთხელ სადგურზე მოხვდა, მაშინ სადგურის მოსამსახურეები სარგებლობენ მით და ჩვენ, გაზეთის გამომწერლები კი, უგაზეთოთ ვსხედვართ თვიდან თვემდე. ეხლა მოგვეწყინა ტყუილა ფულის ძლევა და გაზეთის გამოწერაც შევაჩერეთ. არ ვიცით რა ხდება ქვეყანაზე. ამისათვის ვთხოვთ ვისაც ჯერ არს დაგვეხმაროს ამ საქმეში. უნდა ითქვას, რომ სიტყვით ბევრი დამხმარე-შემბრალე ჰყავს ჩამოსახლებულებს და საქმით კი არავინ, თორემ ასეთები ამდენ ხანს უნდა მოგვარებულიყო. წარსულ წელს აქ ძლიერ გახშირებული იყო ქურდობა, მაგრამ ადერბეიჯანის ომის დროს მთავრობამ ქურდების ბუდე სოფელი შიხლო ჩვენ ტერიტორიაზე აყარა და ქურდობაც ამის შემდეგ ძლიერ შემცირდა დღეს. აქეთ ყველგან გვარდიელები დგანან, მაგრამ სამწუხაროთ უნდა ითქვას რომ გვარდიაშიაც ზოგი არა საიმედო პირნი შეპარულან. ამ შემოდგომაზე გვარდიელები სოფელ ერთობაშიაც მოიყვანეს. მათი მოსვლის დღიდან დაიწყო ყველაფრის კარგვა. იკარგებოდა შინაური ფრინველები, ღორები, გოჭები და ბოლოს ცხენებიც. სხვათა შორის აქ ჩამოსახლებულს ლევან სუთიძეს დაეკარგა 2 ცხენი. რამოდენიმე დღის შემდეგ ერთმა ცხენმა მოირბინა სახლში ყელზე თოკი ამოსხმული, ამით სუთიძემ ეჭვი მიიტანა გვარდიელებზედ და ბოლოს ბუნდოვანათ წამყვანელებიც გამოჩნდა სუთიძემ იჩივლა, კანდიერ ლოლუასთან, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

სუთიძემ გაიგო ისიც, რომ ცხენი თფილისში იყო გაყიდული, წავიდა იქ ცხენის საძებნელად და ვ. ჯუღელთანაც საჩივრებით. ცხენი მართლაც იპოვა თფილისში. ის მოუპარავს იმ გვარდიელს ვისზედაც ეჭვი ჰქონდა. დამნაშავეებს მიაგნეს: ზოგი დაიჭირეს, ზოგი მიიმალა.

აი ასეთი პირები სახელს უტეხს ისეთ სახელოვან და წმინდა იდეისთვის თავდადებულ მეომრებს, როგორიც არის ჩვენი სახალხო გვარდია.

ყარაიაზში დღემდე არ არის ერობა. თფილისის სამაზრო ერობა გვპირდება ერობის მსგავსი ორგანოს დაარსებას. ის უნდა შესდგეს სამი პირისაგან, რომელშიაც ერთი ერობის წარმომადგენელი იქნება და ორიც ხალხის. რაც მალე იქნება ეს, მით უკეთესია.

ადგილობრივი ერობის თივების დამამზადებელი ორგანიზაციის უფროსი ბ-ნი [illegible] ძლიერ ცუდათ ეპყრობა განსაკუთრებით ჩამოსახლებულებს. ჯერ იყო და სახლის კარების წინ დაიწყო დახვნა იმ ადგილების, სადაც ჩამოსახლებულებს ბოსტნები უნდა დაეთესათ, ეხლა არის და დააყენა რამოდენიმე თივის ბულული იქ, სადაც ჩვენი საქონელია, ხვდება, იჭერს და წყალზე თითო ფუთი სიმინდი მიაქვს. თუ ასე განაგრძო მთლად გამოგვაცლის რაც სიმინდი გაგვაჩნია.

სოფელ ერთობა-კარატაფაში არის ხუთამდე წისქვილი.

[illegible] საზღვარი არ აქვს ღებულობენ რამდენიც მოეპრიანებათ. არ არის შიგ არავითარი წესრიგი. საფქვავის პატრონმა თუ არ უყურა დაკარგვაში პასუხის მგებელი არავინ არის, ჩეკს არ იძლევიან, სიმინდს დაფქვაზე მთლად უარს ამბობენ—ქვას გვიხდენსო ამ მხრივ დიდი გაჭირვებაა. ახლა მთავრობა შეუდგა სახაზინო წისქვილის აშენებას და თუ დროზე გათავდა, იქნება ამან შეამციროს ის გაჭირვება, რომელიც ახლა არის.

მელიტონ ლეჟავაშვილი.

რედაქტორი ლევან ნაკაშიძე

განცხადებანი

დაკარგულია

პარტიული წიგნი, ხათუნია ჩარახჩიანცის სახელზე მე-2 რაიონის კოლექტივის მიერ მოცემული. ითვლება გაუქმებულათ (3715 1—1)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დილის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12 დეკ.

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35.
(18—დეკ.)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმი მ. ა. შავრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] დებები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4 [illegible] ქ. № 32. (21 დეკ.)

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლევების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38.
(26 ნოემბ.)

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკიმოვი
გადავიდა კირკას ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ. № 28. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606" და 914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—8 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულებ. ს
სავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკიელისა
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის სავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონძე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმბაში
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნევრასთენია (საშარდე მილის), ახალი ბებუთოვის ქ. № 5, სახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (პარალელურად). მიღება დილით 9—11 ნაშ. ს. საღ. 5—7 საათამდე. 13—დეკ.)

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი ვაქცინოთერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ყვავის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—შლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გოროხის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 12, [illegible]

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ შედევანიშვილისა
დილისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
ე. ი. ზალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შმ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს, ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა № 4